ISSUES IN THE HISTORY OF TRADITIONAL AGRICULTURE IN TAO-KLARJETI– HORTICULTURE AND FARMING

ტრადიციული სამეურნეო კულტურის ისტორიის საკითხები ტაო-კლარჯეთში – მებაღეობა და სამიწათმოქმედო ყოფა

NUGZAR MGELADZE
Doctor of History, Professor of Batumi State University, Batumi, Georgia
ORCID ID: 0000-0001-8335-6042
(+995) 591 01 01 23, nugzar.mgeladze@bsu.edu,ge

Abstract

Since time immemorial, agricultural life and pastoral culture have coexisted in the Kura, Chorokhi, Tigris, and Euphrates basins. These river basins were inhabited by culturally related peoples who led sedentary lifestyles and thus formed the forerunners of an agrarian civilization as early as the end of the Eneolithic era. The Chorokhi basin, where one part of the Georgian feudal provinces, including Tao and Klarjeti, formed in the Middle Ages, was of special importance in this river system.

Agriculture was a leading economic branch among Caucasian and Anatolian peoples. Accordingly, husbandry was vital to the social and economic life of this vast ethno-cultural region. The economic way of life of the people of Tao and Klarjeti, like other parts of historical Georgia, mirrored the economic life of the mountains, the foothill line, and the plains.

The economic zones in Tao and Klarjeti were well-organized. Vegetable gardens and orchards were planted in artificially fenced terraces around the farmsteads, followed by meadows and floodplains on the slopes and riverside hills a short distance away. The irrigation system's efficiency was critical for the agricultural life of the people of the settlements near the gullies. Tao-Klarjeti was a hot, rocky terrain with a lot of water, which doubled the irrigation prospects and importance in the area. Terraced farming presented a challenge to man in terms of irrigating the terraced land. Natural needs, among other things, led to highly developed irrigation farming in Asia Minor – Anatolia, and in Georgia, particularly in Tao and Klarjeti.

In the Caucasus and Asia Minor - Anatolia, particularly in Tao-Klarjeti, not only technologies reflecting human labor activity developed, but also forms of cereal crops proper, many of which are considered endemic varieties. The crop plots were intended for cereal cultivation, while the floodplains were used for haying and making winter stock for farmed animals.

Key words: Tao, Klarjeti, field husbandry, husbandry, vegetable patch, watermelon, melon or gourd plantation, cornfield, cereals.

ნუგზარ მგელაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
ORCID ID: 0000-0001-8335-6042
(+995) 591 01 01 23, nugzar.mgeladze@bsu.edu.ge

აბსტრაქტი

სამიწათმოქმედო ყოფა და სამესაქონლეო კულტურა, მათი სიმბიოზური იერსახე, მტკვრის, ჭოროხის, ევფრატისა და ტიგროსის აუზებში უხსოვარი დროდან ვითარდებოდა. მდინარეთა ეს აუზები კულტურულად მონათესავე ხალხებით იყო დასახლებული, რომლებიც ბინადარ ცხოვრებას ეწეოდნენ და, შესაბამისად, უკვე ენეოლითის დასასრულიდან აგრარული ცივილიზაციის პიონერებად ჩამოყალიბდნენ. მდინარეთა ამ სისტემაში ჭოროხის აუზს, სადაც შუასაუკუნეებში ქართული ფეოდალური პროვინციების ერთი ნაწილი, მათ შორის ტაო და კლარჯეთი წარმოიქმნა, გამორჩეული ადგილი ეკავა.

კავკასიისა და ანატოლიის ხალხებში მიწათმოქმედება მეურნეობის ძირითადი დარგი იყო, შესაბამისად, ამ უზარმაზარი ეთნოკულტურული სივრცის საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მიწათმოქმედებამ უაღრესად დიდი როლი შეასრულა. ტაოელთა და კლარჯთა მეურნეობრივი ცხოვრების წესი, ბუნებრივია, გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებთან შესატყვისობაში, ისტორიული საქართველოს სხვა კუთხეთა მსგავსად, მთის, მთისწინა ზოლისა და ბარის სამეურნეო ყოფის თანმხვედრი იყო.

ტაოელებისა და კლარჯების სამეურნეო ზონები სტრუქტურებული იყო. კარმიდამოს გარს ეკრა ქვებისაგან ხელოვნურად შემოზღუდულ ტერასებში განლაგებული ბოსტნები და ხეხილის ბაღჩები, რომელთაც კარმიდამოდან შედარებით მოცილებით, ფერდობებსა და მდინარისპირა ბორცვებზე მდებარე ყანები და ჭალები მოსდევდა. ხევისპირული დასახლებების სამიწათმოქმედო ყოფისათვის სარწყავი სისტემის გამართულობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ტაო-კლარჯეთი საკმაოდ ცხელი, კლდოვანი ზონალობის ტერიტორიული სივრცე და წყლით მდიდარი რეგიონი იყო, რაც იქ საირიგაციო პერსპექტივებსა და მნიშვნელობას ერთიორად ზრდიდა. ტერასული მეურნეობა ადამიანს ტერასაში მოქცეული მიწის მორწყვის აუცილებლობის წინაშე აყენებდა. სწორედ ბუნებრივმა მოთხოვნილებებმაც განაპირობა ის, რომ სარწყავი მიწათმოქმედება, მსგავსად მცირე აზიის – ანატოლიისა, საქართველოშიც, კერძოდ, ტაოსა და კლარჯეთშიც წარსულში საკმაოდ განვითარებული იყო.

კავკასიასა და მცირე აზიაში – ანატოლიის, განსაკუთრებით, ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე, სამიწათმოქმედო ყოფის განვითარებასთან შესაბამისობაში არა მარტო ადამიანის შრომა-საქმიანობის ამსახველი ტექნოლოგიები, არამედ საკუთრივ მარცვლეულ კულტურათა ფორმებიც ვითარდებოდა, რომელთაგან ბევრი ენდემურ ჯიშებადაა მიჩნეული. სათესი ნაკვეთები მარცვლეულის მოსაყვანად იყო განკუთვნილი, ხოლო ჭალები სათიბად და საქონლისათვის საზამთრო მარაგის შესაქმნელად.

საკვანძო სიტყვები: ტაო, კლარჯეთი, მემინდვრეობა, მიწათმოქმედება, ბოსტანი, ბაღჩა, ყანა, მარცვლეული კულტურა.

შესავალი.

სამიწათმოქმედო ყოფა და სამესაქონლეო კულტურა, მათი სიმბიოზური იერსახე, მტკვრის, ჭოროხის, ევფრატისა და ტიგროსის აუზებში უხსოვარი დროდან ვითარდებოდა. მდინარეთა ეს აუზები კულტურულად მონათესავე ხალხებით იყო დასახლებული, რომლებიც ბინადარ ცხოვრებას ეწეოდნენ და, შესაბამისად, უკვე ენეოლითის დასასრულიდან აგრარული ცივილიზაციის პიონერებად ჩამოყალიბდნენ. მდინარეთა ამ სისტემაში ჭოროხის აუზი, სადაც შუასაუკუნეებში ქართული ფეოდალური პროვინციების ერთი ნაწილი წარმოიქმნა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან არეალს წარმოადგენდა. ამ პროვინციათაგან ტაოსა და კლარჯეთს გამორჩეული ადგილი ეკავათ. მართალია ტაო და კლარჯეთი ისტორიული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული პროვინციები იყო, მაგრამ დღეს ისინი თურქეთის რესპუბლიკაში მდებარეობს, ადრე კი – არსიანის ქედიდან შავ ზღვამდე არსებულ მიწა-წყალს, კერძოდ, მდინარე ჭოროხის შუა და ქვემო დინების აუზებს მოიცავდნენ. გარე სამყაროზე მათი პოლიტიკური გავლენა როგორც ადრე, ისე განვითარებულ შუასაუკუნეებში საკმაოდ დიდი იყო.

მეურნეობის ტრადიციულ ფორმათა შორის მემინდვრება-მიწათმოქმედებას განსაკუთრებული ადგილი იქ ეკავა, სადაც შესაბამისი სამეურნეო-კულტურული ზონები არსებობდა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ კავკასიისა და ანატოლიის ხალხებში მიწათმოქმედება და მესაქონლეობა მეურნეობის ძირითადი დარგები იყო, შესაბამისად, ამ უზარმაზარი ეთნოკულტურული სივრცის საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მესაქონლეობამ და მიწათმოქმედებამ უაღრესად დიდი როლი შეასრულა. მიწათმოქმედება ადამიანის საქმიანობის ერთ-ერთი უძველესი სფერო იყო და მისი ისტორია როგორც სოციალურ, ისე მატერიალურ კულტურასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. მახლობელი აღმოსავლეთის არქეოლოგიური და პალეობოტანიკური მონაცემებით, აღებული სხვადასხვა წარმომავლობისა და დამოუკიდებელი გზის მატარებელ ბინადარ მიწათმოქმედთა დასახლებებიდან, სადაც გათვალისწინებულია გარემომცველი ეკოსისტემები, რომლის ფარგლებშიც ბინადარი მეურნეობის ჩამოყალიბება ხდებოდა, დაახლოებით შვიდი მსხვილი სამიწათმოქმედო ცენტრია გამოყოფილი: 1. სამხრეთ-ანატოლიური; 2. აღმოსავლეთ-ხმელთაშუაზღვისპირული; 3. აღმოსავლეთ-ანატოლიური; 4. ზაგროსული; 5. სამხრეთ-კავკასიური – ამიერკავკასიური; 6. მესოპოტამიური და 7. კასპიისპირული (ჩუბინიშვილი, ჭელიძე, 1979: 56). ანატოლიური და კავკასიური სამეურნეო კულტურების განვითარებაში თავისი წვლილი ტაო-კლარჯეთმაც შეიტანა. ტაოელთა და კლარჯთა ტრადიციულ სამეურნეო კულტურას, უმთავრესად კი – მთის მიწათმოქმედებას, მაღალი განვითარების კვალი დიდხანს შემორჩა.

კავკასიის, მათ შორის, ქართველი ხალხის მეურნეობა და სამეურნეო

ყოფა, განსაკუთრებით, მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და მეურნეობის დამხმარე დარგები ვერტიკალური ზონალური პრინციპების მიხედვით ალპური, სუბალპური და ბარის პირობებში ჩამოყალიბდა, საიდანაც, დამახასიათებელი კულტურული ელემენტებით, დროთა განმავლობაში, ალპური (მთის), სუბალპური (მთისძირის) და ბარული მეურნეობები წარმოიქმნა. ამასთან, საქართველოში, განსაკუთრებით მის მთიან ნაწილში, მიწათმოქმედება და მესაქონლეობა სიმბიოზურ ხასიათს ატარებდა. აქედან გამომდინარე, მატერიალური კულტურიდან როგორც შრომის იარაღები თუ სატრანსპორტო საშუალებები (სახვნელები, კევრები, საჩეხები, სათოხნი და მიწის მოსათხრელი ხელსაწყოები, სამკალები, ფარცხები, ბორბლიანი და უბორბლო, მათ შორის, საჩოჩი ხალხური ტრანსპორტები), სამეურნეო ნაგებობები (ნალია, ბეღელი, პირუტყვის სადგომები, პურსაცხობი თონეები, ხელის, ფეხისა და წყლის წისქვილები, სკები) და საოჯახო-საყოფაცხოვრებო ინვენტარი (ჯამ-ჭურჭელი, საჭმლის მოსამზადებელი და მარცვლეულის შესანახი გობები, კოჭობები, ქვევრები და მარნები), ისესოციალური, სულიერი და ყოფა-ცხოვრებით სფეროში სხვა ტიპის კულტურული ფასეულობები, ამგვარ დარგთა გარემოში შესაბამისი ნიშან-თვისებებით განვითარდა. ეს ბუნებრივი პროცესი იყო, რადგან სამხრეთ საქართველოს, კერძოდ, ტაო-კლარჯეთის ფართო ტერიტორიაზე განსახლებული ქართველური მოდგმის ტომები ძველი სამიწათმოქმედო კულტურის მატარებლები იყვნენ. ეთნოლოგების დაკვირვებებით, მათი კულტურა, ამ თვალსაზრისით, ძირითადად, ჰომოგენური ხასიათისა იყო. სამეურნეო სისტემაში ქართულ-კავკასიური და ანატოლიური ერთიანი კულტურულ-ისტორიული სივრცის წარმოქმნა არა მარტო ხალხთა მონათესაობის, არამედ მათი ხანგრძლივი კონტაქტებისა და ურთიერთობების ლოგიკური შედეგი იყო. ეს ზეპირი განცხადება არაა, რადგან ქართული სამიწათმოქმედო კულტურის თავისებურებებზე, სიძველესა და თვითმყოფადობაზე თანმიმდევრულად მიუთითებს ქართული და უცხოური წყაროები – ასურული, ქალდეური თუ ურარტული, ბერძნული, ლათინური, სომხური, ასევე, არქეოლოგიური არტეფაქტები, რასაც, საბოლოო ჯამში, კონკრეტულად ეთნოგრაფიული დაკვირვებებიც გვიდასტურებს. გიორგი ჩიტაია მრავალფეროვანი საველე-ეთნოგრაფიული მასალების ურთიერთშეჯერებით მივიდა დასკვნამდე, რომ საქართველოში ცენტრალური ქართლის, კახეთისა და მესხეთის მეურნეობის შერეული ტიპები და კოლხეთის განსაკუთრებული ბუნებრივი პირობები მდინარეების – მტკვრის, რიონის, ჭოროხის აუზებში სამიწათმოქმედო კულტურის განვითარებული ფორმების არსებობას განაპირობებდნენ, ისიც არა იზოლირებულად, არამედ, მეზობელ, მათ შორის, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხებთან მჭიდრო კავშირში (ჩიტაია, 1997:43-62).

მეთოდები.

კვლევა ეფუძნება საველე მეთოდიკას: უშუალო დაკვირვებისა და გამოკითხვის მეთოდებს, ინტენსიურ-კომპლექსურ მეთოდს, ისტორიულ-შედარებით მეთოდს და, შესაბამისად, რეტროსპექტული ანალიზის

მეთოდს.

შედეგები:

სტატიაში განხილულია ტაო-კლარჯეთის ტრადიციული სამეურნეო კულტურის ისტორიის საკითხები, კერძოდ, მებაღეობა და სამიწათმოქმედო ყოფა. ნაშრომს საფუძვლად უდევს ტაოსა და კლარჯეთში განხორციელებულ კომპლექსურ ექსპედიციებში ავტორის მიერ საველე პირობებში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალები.

აღწერილია მებაღეობისა და მიწათმოქმედებისათვის განკუთვნილი სამეურნეო ზონები, ამ ზონებში წარმოდგენილი სამეურნეო კულტურათა თავისებურებები.

ნაჩვენებია სამეურნეო ზონათა სტრუქტურა: კარმიდამოს გარს ეკრა ქვებისაგან ხელოვნურად შემოზღუდულ ტერასებში განლაგებული ბოსტნები და ხეხილის ბაღჩები, რომელთაც კარმიდამოდან შედარებით მოცილებით, ფერდობებსა და მდინარისპირა ბორცვებზე მდებარე ყანები და ჭალები მოსდევდა.

დახასიათებულია ხევისპირული დასახლებების სამიწათმოქმედო ყოფისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი საირიგაციო – სარწყავი სისტემა.

ხაზგასმულია, რომ კავკასიასა და მცირე აზიაში ანატოლიის, განსაკუთრებით, ისტორიული საქართველოს – ტაოსა და კლარჯეთის ტერიტორიებზე, სამიწათმოქმედო ყოფის განვითარებასთან შესაბამისობაში არა მარტო ადამიანის შრომა-საქმიანობის ამსახველი ტექნოლოგიები, არამედ საკუთრივ მარცვლეულ კულტურათა ფორმებიც ვითარდებოდა, რომელთაგან ბევრი ენდემურ ჯიშებადაა მიჩნეული. სათესი ნაკვეთები მარცვლეულის მოსაყვანად იყო განკუთვნილი, ხოლო ჭალები სათიბად და საქონლისათვის საზამთრო მარაგის შესაქმნელად.

მსჯელობა.

ჭოროხის აუზის ხეობებში ბუნებრივ პირობებთან და გეოგრაფიულ გარემოსთან შესატყვისობაში მეურნეობის ტრადიციული ფორმები ჩამოყალიბდა, რომელთა საერთო განვითარების გზა უძველესი ხანიდან დაიწყო, მაგრამ VIII-IX საუკუნეებიდან სამხრეთ საქართველოს ისტორიულ „ქუეყნებში" ურთიერთდაკავშირებული სისტემის სახით იგი გაერთიანების პროცესში მყოფი ქართული სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძვლად იქცა. არაბთა შემოსევებისა და მათი მმართველობის დასრულების შემდგომ სამხრეთ საქართველოში გაჩანაგებული მეურნეობის აღორძინება დაიწყო და განვითარებული შუასაუკუნეები საქართველოში სამეურნეო ყოფა-ცხოვრების სფეროში ახალი ტექნოლოგიების – შრომისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღების გაუმჯობესებითა და დახვეწით აღინიშნა. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, საქართველო მიწათმოქმედების კულტურის ერთ-ერთ უძველეს და დაწინაურებულ კერას წარმოადგენდა, შესაბამისად, ეს კულტურა საუკუნეთა და ეპოქათა მანძილზე ცვლილებებსა და განვითარებას განიცდიდა. ადრე შუასაუკუნეების მიწურულიდან სამხრეთ საქართველოში მეტ-ნაკლებად უკაცრიელი

ადგილების დასახლება, ტყეების გაკაფვა, აოხრებული ადგილების ხელახალი მოშენება, კორდების გატეხვა, მიწების სამიწათმოქმედოდ გამოყენება მიმდინარეობდა. იმდროინდელ საქართველოში მიწის დასამუშავებელი ძირითადი იარაღი – გუთანი ძირეულ ცვლილებას განიცდიდა და მნიშვნელოვან ტექნიკურ გაუმჯობესებას აღწევდა (ლორთქიფანიძე, 1963:431-433). რადგან მიწათმოქმედება ადამიანის მეურნეობრივი საქმიანობის ერთ-ერთი უძველესი სფერო იყო, შესაბამისად, მისი ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული როგორც სოციალურ, ისე მატერიალურ კულტურასთან. სამიწათმოქმედო კულტურაში მემინდვრეობა მიწათმოქმედების ერთ-ერთი დასაყრდენი იყო. მისი სპეციფიკური ფორმებისა და ცალკეული მხარის შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მასში სამეურნეო ყოფის სხვადასხვა მხარესთან ერთად ყველაზე ნათლად ვლინდება ბუნებრივ-ეკოლოგიურ და ეკონომიკურ გარემოსთან ეფექტურად შეგუებული შრომის იარაღების – ხალხური ტექნიკის განსაზღვრული სახეობების დანიშნულება და ადგილობრივი მოსახლეობის ემპირიულ ცოდნაზე დამყარებული საწარმოო ჩვევა-გამოცდილების გარკვეული დონე. კავკასიასა და მცირე აზიაში – ანატოლიის ტერიტორიაზე სამიწათმოქმედო ყოფის განვითარებასთან შესაბამისობაში არა მარტო ადამიანის შრომა-საქმიანობის ამსახველი ტექნოლოგიები, არამედ საკუთრივ მარცვლეულ კულტურათა ფორმები იქმნებოდა და ვითარდებოდა, რომელთაგან ბევრი ენდემურ ჯიშებადაა მიჩნეული. ამ დიდ სივრცეში საქართველოს, განსაკუთრებით, სამხრეთ საქართველოს განსაკუთრებული ადგილი ეკავა, რომელიც უძველესი ხანიდან აგრარული ცივილიზაციის ერთ-ერთ კერადაც იქცა. თავისი წვლილი სამეურნეო კულტურების განვითარებაში ტაო-კლარჯეთმაც შეიტანა, რომელიც მათ ტრადიციულ სამეურნეო კულტურას, უმთავრესად კი – მთის მიწათმოქმედებას დიდხანს შემორჩა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა აზრი, რომ ბუნებრივი პირობების გამო ტაო-კლარჯეთის მიწა-წყლის ერთი ნაწილი სამეურნეო საქმიანობისათვის ნაკლებად გამოსადეგი იყო. Xსაუკუნეშიგიორგიმერჩულე შენიშნავდა: „მონასტერთა მათ შინა არა არს სათიბელი ქუეყანაჲ, არცა ყანაჲ საჴნავი". რას ნიშნავს ეს, ტაო-კლარჯეთი ხრიოკი, მიუვალი და მართლაც მოუსავლიანი იყო? გიორგი მერჩულესთან „ყანაჲ", „საჴნავი" და „ყანაჲ სათესავი" სულ სხვა რამაა, ვიდრე „სათიბელი ქუეყანა". ნიკო ბერძენიშვილის მიხედვით, „ყანა" პურეულის მოსაყვანი ნიადაგი იყო, მაშინ, როცა „ქუეყანა" უფრო ზოგადი მნიშვნელობის ცნებად გამოიყურება და ძველ-ქართულში მიწას ნიშნავდა. ასეთებია: „ქუეყანის დავაკება" და „სათიბელი ქუეყანა". სათესი და საჴნავი არის „ყანა", ხოლო დავაკებული ანდა სათიბელი – „ქვეყანა" (ბერძენიშვილი, 1975:15). გიორგი მერჩულეს, როცა იგი ტაო-კლარჯეთში მიწის სიმწირესა და მცირემიწიანობაზე საუბრობდა, მხედველობაში ჰქონდა კონკრეტულად სამონასტრო მიწ-წყალი და არა ზოგადად ტაო-კლარჯეთის სანახები. ამდენად, გამონათქვამი ტაოს, განსაკუთრებით, კლარჯეთის მხარის ყველა ტერიტორიულ ზონას, ბუნებრივია, არ ეხებოდა და ვინც ამას დღეს სხვაგვარად ვარაუდობს, ვფიქრობთ, ცდება, რადგან ტაო-კლარჯეთში, ჭოროხის აუზის ახლომდებარე მთის კალთებზე და

უფრო მოცილებითაც, სამეურნეო ცხოვრებისათვის საკმაოდ კომფორტული მიწები იყო და, შესაბამისად, ასეთ ადგილებში სოფლებიცაა გაშენებული, მაგრამ, ბუნებრივია, საზომად სხვა რეგიონებს თუ ავიღებთ, ეს არ იყო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში მდებარე ისეთი სავარგულები, რომლებიც სახნავ-სათესი ნაკვეთების საუკეთესო ადგილმდებარეობით გამოირჩეოდნენ, თუმცა ისტორიულად ტაო-კლარჯეთიდან მრავალი ეგზოტიკური მცენარეული კულტურაა ცნობილი. არაერთი ისტორიული ხასიათის წერილობითი წყარო რეგიონის ეკონომიკურ და კულტურულ დაწინაურებულობაზე მიუთითებს, შესაბამისად, იგი მდიდარი იყო ნარინჯით, თურინჯით, ლიმონით, ზეთისხილით, სელით, თაფლითა და აბრეშუმით. ვერტიკალური ზონალობის ჭრილში ტაო-კლარჯეთის მთა-ბარული გარემოს ბუნებრივ და სამეურნეო-ეკონომიკურ სურათს ვახუშტი ბაგრატიონისეული დახასიათება ყველაზე უკეთ გვისურათებს: „არამედ უცნობელ არს, რით ეწოდა სახელი ესე, გარნა საგონებელ არს ღვლარჭნილთა და კლდოვან-ღრატო-ღრიღოვანებისა მიერ და მაღალთა მთათაგან, რამეთუ მთა-ბარი ახლორებს ესრეთ, ჟამისა ანუ ნახევარ ჟამისა სავალთა არს თოვლი და ბართა ნარინჯი, თურინჯი, ზეთისხილი და ყოველნი ნაყოფნი" (ვახუშტი, 1941:121). ჟან მურიე, რომელიც ჭოროხის აუზში მოგზაურობის პერიოდში შავშეთისა და კლარჯეთის კლდოვან ადგილმდებარეობასა და მხარეების ტოპოგრაფიულ თავისებურებებს ახასიათებდა, გამოყოფდა ზოგიერთ ხევს, რომელსაც სამეურნეო ცხოვრებისათვის ერთობ ხელსაყრელად მიიჩნევდა. ჟან მურიეს დახასიათებით: „ჭოროხის ნაპირები ხეობაში ველური და ულამაზო სანახავია. ციცაბო, შიშველი კლდეები, თხლად დასახლებული უდაბური ხეობები ძალზე სევდიან შთაბეჭდილებას ახდენენ ბათუმიდან ართვინში მიმავალ მგზავრზე [...] მთელ გზაზე ხეობა მხოლოდ ბორჩხის პირდაპირ ფართოვდება საგრძნობლად და პეიზაჟი უფრო ცოცხლდება [...] ჭოროხის ხეობაში გაზრდილი ყველა კულტურული და ველური მცენარე ხელსაყრელ პირობებში იმყოფება და დიდ მოსავალს იძლევა. საუბედუროდ ხეობის სივიწროვისა, სიმოკლისა და ციცაბო მთების სიმრავლის გამო, ბათუმის ოლქის სხვა ხეობებთან შედარებით სახნავ-სათესი მიწა აქ ცოტაა. თვითეული ხეობა იმდენადაა ჩაკეტილი, რომ მიუხედავად მათი სიახლოვისა ნამდვილ ეთნოგრაფიულ მიჯნებს ქმნის. ურთიერთობა ცალკეულ პატარა ველებს შორის სუსტია ან სულ არ არის [...] ამ დაბურულ ხეობათაგან მურღულის ხეობა ნიადაგის კარგი თვისებებისა და კარგი მოსავლიანობის გამო ყველაზე დასახლებული ხეობაა" (მურიე, 1962:15).

ყველა ტიპის წყარო, განსაკუთრებით, წერილობითი ცნობები და საველე-ეთნოგრაფიული დაკვირვებები გვიდასტურებს ტაოსა და კლარჯეთის ბუნების მრავალფეროვნებას. ტაოში ტყეში ხარობდა ისეთი ჯიშის ხეები, როგორებიც იყო: სოჭი, კატარი, ნაძვი, ძეწნი, ყავაღი. მინდვრებსა და ბუჩქნარ მიდამოებში ხშირად შეხვდებოდით ველურად მზარდ მაყვალს, ასკილს. ასკილთან დაკავშირებით სოფელ სავლიათში საინტერესო ტოპონიმი – ასკილგორი დასტურდება. დასახლებებისაგან მოცილებით, ზემო – „ზომო'' ადგილებში, ტყის მასივებსა და კლდის ციცაბოებში სხვადასხვა ჯიშის ნადირი და ფრინველი ბინადრობდა,

რომელთაგან უმეტესად წარმოდგენილი იყო აᲂი – დათვი, ძირითადად, შავი, წითელი და რუხი – „მრეხი" ფერისა და მისი ბელი – ფალაქი (ფალა), ღორი, თხა, ვაცი, მელი – მელა, იგივე, თილქ'ი – (დილქ'ი), კურტ'ი, იგივე, გელი – მგელი, უმეტესად, მუქი თეთრი და ძვლისფერი, ვაიშალი – აფთარი, ჩახალი – ტურა, ტავშანი – კურდღელი, კაკლიყავი (კაკლიმყვარი), იგივე, სინჯაფ'ი – სინჯაბი (ციყვი). ფრინველებიდან ცნობილი იყო: ტყიქათამი, რომელთაგან დედალი რუხი იყო, ხოლო მამალი – შავი, რომელსაც „შავ ქათამსაც" ეძახდნენ, ქექლი (ქექლიგი) – ქათმის მაგვარი ფრინველი, რომელსაც ფეხები და ნისკარტი წითელი ჰქონდა, ხოლო თავად რუხი ფერისა იყო, კოდორა, ათმაჯა – შევარდენი, შავი ანდა რუხი, გუგული. გადამფრენი ფრინველებიდან მრავლად იყო მწყერი. მდინარეებში ძირითადად ორი სახეობის თევზი ბინადრობდა: ალაბალიკი – წითელი კალმახი და საზანი.

ტაო-კლარჯეთის გეოგრაფიულ გარემოსა და ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს ტრადიციული მეურნეობა და მისი ისტორიულად ჩამოყალიბებული მრავალგვარი ფორმები შეესაბამებოდა. როგორც ტაო, ისე კლარჯეთი საკმაოდ დიდ ტერიტორიებს მოიცავდა და, ბუნებრივია, ყველა ხეობასა და კუთხეში იგი ერთნაირი დონითა და იერსახით არ იყო წარმოდგენილი. რეგიონის გარკვეული ნაწილი მართლაც კლდოვანია, სადაც წარსულში მეურნეობის გასამართავ ადგილებს ნაკლები სივრცე ჰქონდა დათმობილი. ამიტომაა ასეთ ადგილებში ხალხურ ცოდნა-გამოცდილებაზე დაფუძნებულ ტერასულ გეგმარებას ხშირად რომ შეხვდებოდით. ზოგან ხეობები ძალზე ვიწროა და ვიწრო კალაპოტში მოქცეული მდინარის სანაპიროებზე კლდის უზარმაზარი კანიონებია აღმართული ისე, რომ მზის სხივებიც კი არ ჩანს, გარკვეულ ადგილებში თავს იჩენს ვრცელი მინდვრები და საჭალე კუნძულები, განსაკუთრებით, მდინარეთა სანაპიროებიდან განვრცობილ ფერდობებზე. ტყის საფარი საკმაოდ დიდ მანძილზე ვრცელდება და ტყეც მდიდარია სხვადასხვა ჯიშისა და წარმოშობის მცენარეულობით. ვახუშტი მიგნებულად ახასიათებდა ტაოს გეოგრაფიულ პირობებს და აღნიშნავდა: „და არს ეს ტაო ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი ყოვლითა მარცვლითა, და მთის კერძოთ, ვითარცა ჯავახეთი. არამედ არს მთიანი, გორიანი, ღელოვანჴრამოვანი, ღრატოიანი, წყლიანი და იწრო. და არიან ჴევთა დაბნები. კაცნიცა ეგრეთნივე. გარნა იდი და ნარუმაკი არიან ვითარცა თრიალეთი ანუ ჯავახეთი ყოვლითურთ". სხვა ადგილას კი წერდა: „ფანასკეტი-ოლთისი ხილიანი, ვენახიანი, ვითარცა სხვანი'' (ვახუშტი, 1941:138).

ტაო-კლარჯეთის დასახლებებსა და დასახლებათა შემოგარენში სამეურნეო სივრცე სტრუქტურირებული იყო. ჭალების გვერდით ოჯახისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო მეურნეთა მიერ მიწის დამუშავება და შესაბამისი მარცვლეული კულტურის, განსაკუთრებით, ხორბლეულის დათესვა და მოყვანა. ბაღის გაშენება და მებაღეობას მათ სამეურნეო ყოფაში დიდი ადგილი ეკავა. რეალურად მეურნეობის ეს დარგი შეიძლება როგორც დამხმარე სამეურნეო მიმართულება ისე იქნეს განხილული. ბოსტნებისა და ბაღჩა-ბაღების სახით სამეურნეო ნაკვეთების ძირითადი ნაწილი კარმიდამოს მიმდებარე მიწა-წყალზე იყო თავმოყრილი. ამას მოყვებოდა

ჭალა-სათიბები და „მეზრე'ები" – ყიშლები, ხოლო ყიშლებს „იაილები" მოსდევდა, თუმცა ტაოს გეოგრაფიული და მეურნეობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე მათ განლაგებასა და თანმიმდევრობაში ვერტიკალური ზონალობის პრინციპი ზოგჯერ დარღვეული იყო და ჭალა-სათიბი შესაძლოა კარმიდამოს ქვემოთ, მდინარის სანაპიროსთან აღმოჩენილიყო და არა მაღლობებში – მთის ფერდობებზე. ტაოში დასახლებათა სამეურნეო ქსელის სტრუქტურულ კავშირს ტერმინი აგარა ნათლად ასახავს. აგარა საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვა შინაარსის მატარებელი იყო. ტაოში, განსაკუთრებით, პარხლის ხეობაში, აგარად საზაფხულო სოფლები მოიხსენიებოდა. აგარა, როგორც საზაფხულო სადგომი, დასახლებათა სამსაფეხურიან სისტემაში მესამე საფეხურის დასახლებას წარმოადგენდა. საზაფხულო სადგომი პარხლის ხეობაში თითქოს ყიშლის მსგავსი გარდამავალი ხასიათის დასახლება იყო, მაგრამ ყიშლასა და ტაოურ საზაფხულო სადგომს – „აგარა'ს" შორის განსხვავება მაინც არსებობდა. აგარა თვისობრივად კლასიკური მნიშვნელობის იაილას უფრო ემსგავსებოდა (მგელაძე, 2018; კლარჯეთი, 2016:11-12, 103-104, 116, 151, 163, 175, 191, 196-198, 201, 209, 218, 635; ტაო, 2020:239, 287-293).

ტაო-კლარჯეთში მიწა სხვადასხვა ნიშნის მიხედვით განირჩეოდა, მაგალითად, ნაყოფიერების, სტრუქტურისა და ხარისხის, მცენარეულ საფართან დამოკიდებულების, ფერის, მზის განათებისა და ექსპოზიციის, ვერტიკალური ზონების შესაბამისად. ტაოში ნიადაგის ნაირსახეობანი სხვადასხვაგვარი ტერმინებით აღინიშნებოდა. ფერის მიხედვით: თეთრი მიწა, წითელი მიწა, შაი მიწა, ყუეთიანი მიწა, გუნეი მიწა; სტრუქტურისა და ხარისხის მიხედვით: თიხიანი მიწა (თიხა მიწა), მოთიხო მიწა, კენჭი მიწა და ხასი მიწა, ქვიანი მიწა, ჩაღილიანი მიწა, ჭონჭყიანი მიწა, სველი მიწა, მშრალი მიწა, რბილი მიწა, კოხი მიწა, მაგარი მიწა, ხოშორი მიწა, კორდი მიწა, კაპნიმიწა, კლარჯებში კაპანი ანუ კაპანი მიწა, ასევე, ატლუკილი – დაქანებული მიწა; დანიშნულების მიხედვით: ყანი მიწა, ხოზანი მიწა; ადგილმდებარეობის და მზისადმი ორიენტაციის მიხედვით: გახრაკული მიწა და სხვა მისთანანი. მეურნეთა დახასიათებით თეთრი მიწა სათესად ვარგისი იყო, რადგან იგი „ბრილი" იყო. ტაო-კლარჯეთში გავრცელებული უმთავრესი მცენარეული და მარცვლეული კულტურები სწორედ ასეთ მიწებზე მოჰყავდათ (მგელაძე, 2014:115-116); წითელი მიწა ჭალად გამოსადეგ თიხიან მიწას წარმოადგენდა; შაი მიწა სათესად გამოიყენებოდა, ამასთან, მიიჩნეოდა, რომ იგი ნოყიერი იყო, რომელზეც დიკა და ქერი ხვავრიელად მოდიოდა (დევაძე, 2017). ზოგიერთი ტაოელი თვლის, რომ შაია მიწა ჩრდილიან ადგილზე იყო წარმოდგენილი, მაშინ, როცა უნეი მიწა მზიანი ადგილმდებარეობით გამოირჩეოდა (ქეჩეჯი, 2018); ყუეთიანი მიწა, მსგავსად შაი მიწისა, შავი ფერისა იყო და როგორც თავად სახელწოდებაც მიანიშნებს, უხვმოსავლიანობით ხასიათდებოდა; მოთიხო მიწა – საქონლის საბალახოებისათვის იყო განკუთვნილი. თვლიდნენ, რომ თიხიანი მიწა იგივე კენჭი მიწა იყო. თიხიანი მიწა, როცა „გახმებოდა, მოუჭირებდა". სხვათაშორის თიხიანი მიწისაგან პურის საცხობ კეცს საგანგებოდ ამზადებდნენ. თიხიანი მიწა, იგივე, თიხა მიწა და ხასი მიწა კარგი იყო

სახლის ასაშენებლად. სწორედ ასეთ მიწას თუ მას გზა და მზე უდგებოდა, წყალთან ახლოს იყო, ტაოელები სახლის ასაგებად არჩევდნენ; ხასი მიწა ძირითადად პომიდორის, მწვანილის მოსაყვანად გამოიყენებოდა. მასზე, როგორც შავ მიწაზე, „ბიბერი'ს", ლობიოს – „ფასული'ს" დათესვა და დარგვა შეიძლებოდა. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით „ხასი ყრდელი''-ა (ორბელიანი, 1949: 465); ხოშორი მიწა ხალხური გაგებით „დიდვრანი მიწაა", რომელზეც კარტოფილი – მარქვალი ადვილად მოდიოდა და სიუხვითაც გამოირჩეოდა; ჩიღილიანი მიწა ისეთი მიწა იყო, სადაც ხარისხიანი ბალახი იზრდებოდა, რომელიც გასათიბათაც ვარგოდა; ჭონჭყიანი მიწა სილიან მიწას წარმოადგენდა, რომელზეც ხალხური დაკვირვებით მხოლოდ ბალახი ამოდიოდა, შემდეგ იგი საქონლის გამოსაკვებად ითიბებოდა; სილიანი მიწა იგივე რბილი მიწა იყო; ტაოში კოხიანი მიწა ისეთი მიწა იყო, რომელზეც ვაზი და ზეთისხილი კარგად ხარობდა. სამხრეთ საქართველოს სხვა კუთხეებში, მაგალითად, აჭარისწყლის ხეობაში, კოხი მიწა სინოყივრეს მოკლებული, გამოფიტული მიწა იყო (ნიჟარაძე, 1971:232). სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით „კოხი ქვაა, რომელი ცეცხლში არ დასქდება" (ორბელიანი, 1949:173); მშრალი მიწა ისეთი მიწა იყო, რომელზეც კარტოფილი ითესებოდა, მაგარი მიწა კი – უმოსავლო მიწა იყო, სადაც არაფერი არ ითესებოდა; სველი მიწა წითელი ფერისა იყო, წყლიანი. ხალხური დაკვირვებებით, წითელი მიწა იმის მანიშნებელი იყო, რომ მასში რომელიღაც საბადო – მადენი იყო მოქცეული; კაპნიმიწა, როგორც ეს ტაოელ მეურნეთა გამოცდილებით ირკვევა, „დაჯოხვილი'' იყო და მასზე ბალახი არ ამოდიოდა, რის გამოც იგი, ბუნებრივია, არც სათიბად არ ვარგოდა; კორდი მიწა ისეთი მოუხნავი მიწა იყო, რომელიც წლების მანძილზე არ მუშავდებოდა და სამეურნეო თვალსაზრისით არ გამოიყენებოდა, თანაც ბალახის ფესვებით იყო შეკრული. სულხან საბა ორბელიანის მიხედვით ძველ საქართველოშიც „კორდი – უნამუშევარო მიწა" იყო (ორბელიანი, 1949:171); ყანი მიწა, რომელიც დავაკებულ – „დუზ" ადგილს წარმოადგენდა, უმეტესად, ქერის, დიკას, ჭვავისა და სიმინდის სათესად გამოიყენებოდა, ხოლო ხოზანი მიწა თესვისათვის უვარგისად ითვლებოდა. ასეთ მიწაზე მარცვლეული არ ითესებოდა. ჭოროხის ხეობის სხვა ქართულ კუთხეებშიც ნიადაგის მსგავს ხალხურ კლასიფიკაციას ვხვდებით, სადაც ნიადაგის აღმნიშვნელ სახელწოდებებშიც კი მკაფიოდ ჩანს ნიადაგების ისტორიულად ჩამოყალიბებული ემპირიული ცოდნა-გამოცდილება, რომლის გარეშე შეუძლებელი იყო მეურნეობის გონივრული წარმართვა (კახიძე, 1974:42-43; ქართველი ხალხის, 2019).

მიწის ხელოვნური მასის შერჩევით შექმნა ტერასულ მეურნეობასთან უშუალოდ იყო დაკავშირებული. ტერასები ბაღჩებისა და ბოსტნების მოსაწყობად გამოიყენებოდა და ტაო-კლარჯეთში მას ბუნებრივი პირობებიდან და გეოგრაფიული გარემოს თავისებურებებიდან გამომდინარე ფართო გავრცელება ჰქონდა. სახლთან ახლოს მდებარე განსაზღვრული მიწის ნაკვეთები წინასწარ შერჩეული ქვებით შემოიზღუდებოდა. ქვებით შემოზღუდულ ტერასას ყორე ანდა ტუარი ეწოდებოდა. იგი ქვების მშრალი წყობით იგებოდა. ზოგან ქვებით ზღუდეშემოვლებულ და შემოსაზღვრულ

ბოსტნებსა და სხვა ტიპის სამეურნე ნაკვეთებს ქვიყვერე – ყვერე თუ ყვერევნალი ერქვა. ყვერე „ყორე'ს'' ფონეტიკურად სახენაცვალი ფორმაა. ასეთი ტერასები ვერტიკალურ განზომილებაში ამფითეატრულად და საფეხურებად იყო განვითარებული. ფერდზე საფეხურებად, მაგრამ ჰორიზონტალური სახით შეფენილი ტერასები, რომლებიც ყორეებით იყო შემოზღუდული და შემაგრებული, „ჩეფერი'ს'' სახელს ატარებდა. ჩეფერი „ტყიქვით" და „ხეიქვით" – წყლის, ღელის თუ მდინარის მიერ ჩამოტანილი ქვებით მზადდებოდა, ე. ი. ჩეფერის შესაქმნელად ყველა ტიპის ქვა კი არ იყო გამოსადეგი, არამედ უპირატესობა ხევის – ღელისა და მდინარის ქვებს ენიჭებოდა. ნიადაგის კლდოვანებისა და, შესაბამისად, მიწის უკმარისობის გამო, ხელოვნური ტერასა, უპირველესად, სამეურნეო მიზნით გამოიყენებოდა. როცა სამეურნეო მიზნით ტერასას, იგივე, „ყვერე'ს" ზღუდავდნენ, ტაოში იტყოდნენ „მიწას ვაშენებთო, მიწა არ წევიდესო, სოფლი ბაირები აკეთებდნენ, რომ მიწა დამდგარიყო" (დევაძე, 2017). ყორეთი შემოზღუდულ ტერასას შიგნით, თუ არსებული მიწა უნაყოფო იყო, მოტანილი ნოყიერი მიწა – ტყე მიწა იყრებოდა, კონკრეტულად კი ტერასებში ორი ნაირგვარობის მიწა თავსდებოდა: თეთრი მიწა და წითელი მიწა. ამ გზით სამეურნეო ნაკვეთები – სათესები ანდა სარგავები იქმნებოდა, თუმცა იგი ხეხილის ხეების სარგავად ყოველთვის არ გამოიყენებოდა. მიწა შესაბამისი ადგილებიდან ხარ-უღლით მოჰქონდათ, რომელზეც ძარა იყო შედგმული. რადგან ტერასები ტაოში, გარდა სანიაღვრე დანიშნულებისა, სამეურნეო ფუნქციასაც ასრულებდნენ, ამიტომ კარმიდამოსთან ახლოს ძარათი მოზიდული მიწა ბაღჩაში, ბოსტანსა და ყანებში იყრებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ ხდებოდა, როცა ყორეებით შემოზღუდული ნაკვეთი ამას საჭიროებდა ანდა სავარგულებსა და ყანებში „მიწა გაცვდებოდა".

ტაო-კლარჯეთში კარ-მიდამოსთან ახლოს, უპირატესად, ტერასულ მეურნეობაში, ბოსტანი იყო გამართული, რომელიც ბოსტნეული კულ-ტურებისათვის იყო განკუთნილი. ბოსტანი ჩვეულებრივ ეწყობოდა იქ, სადაც ადგილმდებარეობა ამის საშუალებას იძლეოდა. ბოსტანი კარმიდამოს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა, რადგან იგი წლის დიდ მონაკვეთში სახლეულისათვის ყოველდღიური საკვების ცოცხალ მარაგს ინახავდა. ტაოში მარცვლეული – ცერცვი და ქერი მიწაჩაყრილ „ჩეფენებში" ითესებოდა, ასევე, მასში მწვანილეულობა და სხვა ტიპის ბოსტნეულობა მოჰყავდათ, რომელთაგან უნდა გამოიყოს კიტრი – დომათესი, პომიდორი – ტომატესი (ტომატოსი), პატრიჟანი. განსაკუთრებული ნაკვეთები კარტოფილისათვის – „მარქვალი'სათვის", იგივე, „ფათათესი'სათვის'' და ლობიოსათვის – „ლებიო'სათვის'' იყო განკუთვნილი. კართოფილი (ქართოლი) – ფათათესი, ტაოელებთან იგივე მარქვალი, რომელიც ოჯახისათვის მნიშვნელოვანი საკვები წყარო იყო, ირგვებოდა და ითესებოდა. ისიც განსაკუთრებული მოვლისა და მზრუნველობის ობიექტს წარმოადგენდა. ბოსტნებში გვხვდე-ბოდა ხაპი – აყირო, ბოლოკი – თალგამი, ნაკვეთებსა და გზისპირებში კი, ზოგჯერ, საფურგე, იგივე, ცოცხი ითესებოდა. ადგილობრივთა თქმით, „საფურგე რომ შეიქმნება დავსჭრით, გახმება და შევკოჭავთ". პარკოს-ნებიდან ლობიოს კულტურას ტაოელთა და კლარჯთა სამეურნეო ყოფა-

ში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ლობიოს – „ლებიო'ს" („ლებუა'ს") მოსაყვანად მიწის სტრუქტურას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. კარგი იყო ე. წ. ტყიმიწა. ზოგჯერ ლობიოსა და სიმინდის თესლს ერთმანეთში ურევდნენ და ისე თესდნენ. ლობიოს ჯიშებიდან ტაოში ცნობილი იყო: კაჭკაჭი (შავი და თეთრი – აჭრელებული ლობიო), წითელი ლებუა, ჲერ ლებუა, ბათუმი ვარდი (ლობიო თეთრი და წითელი ზოლებით), რომელიც სხვათა შორის ბათუმის მიდამოებში აღარაა შემონახული. ლებუა (ლებიო) წინაწარ დამზადებული ხის ჯოხების – „ხაშარი'ს'' გვერდით ირგვებოდა, რადგან იგი ხის წვრილ ჯოხს ეხვეოდა, რაც მას სწორად ზრდაში უწყობდა ხელს, ე. ი. წამოზრდილ მცენარეს გვერდით ე. წ. „ხაშარს" დაურჭობდნენ, რათა იგი ნაზარდს დახვეოდა და, შესაბამისად, სიმაღლეში წადულიყო. ხაშარი ჭოროხის აუზის მოსახლეობაში ფართოდ გავრცელებული სიტყვაა, თუმცა კლარჯები ხაშართან ერთად, ასევე, ტერმინ „ფაჩხსაც"იცნობენ.

ტაო-კლარჯეთში ხეხილისათვის ძირითადად ბაღჩა იყო განკუთვნილი. ტაოელთა და კლარჯთა ბაღჩებში, რომლებიც სახლის გვერდით მდებარეობდა, ანდა ქვევით ფერდს ეკვროდა, უპირატესად, ხილი ხარობდა. ტაო-კლარჯეთში ხეხილისა და ვაზის სიმრავლე XVIII საუკუნეში ვახუშტი ბატონიშვილსაც ჰქონდა შენიშნული, რომელიც წერდა, რომ „ფანასკეტიოლთისი ხილიანი, ვენახიანი [...] არს ეს ტაო ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი ყოვლითა მარცვლითა [...]" (ვახუშტი, 1941:138). ბაღჩებში ტერასებს კაკლისა (ჩარდაღი – პატარა ვაშლის მიმსგავსებული კაკალია, ჩიფთი) და თხილის მოსაშენებლადაც იყენებდნენ. ტრადიციულად ხეხილი, იგივე, მეივა, სხვადასხვა ჯიშად განიყოფოდა. ტაოელთა ტერასულ ბაღჩებში ძირითადად ისეთი ხილი ხარობდა, როგორიც იყო ბალი (ნაფოლიონი, თურვანდა ბალი, რომელიც შედარებით მსხვილი იყო, კალაევიში: მოზრდილი წითელი ფერის ნაყოფი ჰქონდა), ვაშლი (წითელი ვაშლი, თეთრი ვაშლი, ყანთარაჲ, ბანგურაჲ, რომლებიც დიდი ზომის – „დიდვრანი ვაშლები" იყო, „მწიფობისას დიდვრანი შეიქმნება"), მსხალი („სხლის" ჯიშებიდან ცნობილი იყო თურვანდა სხალი, შედარებით დიდი ზომის ჭანურაჲ, რომელიც, როგორც ადგილობრივები მიგვანიშნებდნენ – „დიდვანი ჯიში" იყო). კლარჯები მსხლის სხვადასხვა ჯიშებიდან უპირატესობას მსხლის იმ ჯიშს ანიჭებდნენ, რომელსაც ბორბალა ერქვა. ტაოელებში ფასობდა ქლიავი, იგივე, ინჯირი (ბამბურაჲ ქილიავი), აივა (კომში) თუ ბია, თუთა, იგივე, ჯოლი (ბჟოლა) ანუ იაბანი, ლეღვი, ატამი – შევთალი, რომელთა შორის გამოირჩეოდა სახლეჩი ატმისაგან განსხვავებული ე. წ. სახრავი. ცნობილი იყო ხურმა, შინდი, მუშმულაჲ, კაკალა – კაკალი. „კაკალა'ს" მწვანე ფერიან გარსს – „წენგო" ეწოდებოდა, ნაჭუჭს – ხეჭეპო, ხოლო შიდა ნაყოფს – ნიგოზი. ამიტომ, ზოგჯერ მას „წენგვიან კაკალა'საც'' ეძახდნენ. ტაოელები კაკალს დიდ ყურადღებას აქცევდნენ. ჩარდაღი სწორი – დუზი ადგილი იყო, სადაც გასაშრობად კაკალს - „კაკალა'ს" გაშლიდნენ, შემდეგ კი გამშრალ კაკალს საგულდაგულოდ აბინავებდნენ. ტაოელები და კლარჯები ხილისაგან ოჯახში სხვადასხვა ხასიათის პროდუქტს ამზადებდნენ, რომელსაც დიასახლისები საზამთრო მარაგში აერთიანებდნენ და დროგამოშვებით სახლეულის წევრებთან

ერთად მიირთმევდნენ. მაგალითად, ტაოში ცნობილი იყო ლერწამი, იგივე, ჩელტა, რომელიც ქლიავისა და ვაშლისაგან კეთდებოდა.

ტაო-კლარჯეთში წარსულში მრავლად იყო ვაზის ბაღები. ბაღი (ბახჩა/ვენახი) ტაო-კლარჯელთა სამეურნეო ყოფაში ოდითგან განსაკუთრებულ როლს თამაშობდა. დღესაც ბაღებსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არც თუ ისე იშვიათად მაღლარი ვაზია გაშენებული, რომელსაც ყურძენი ეწოდება. ტაოელებისა და კლარჯეების კარმიდამოებთან არსებულ ეზოებში ვაზის ტალავრებიც გვხვდება. ბოსტანს, ბახჩა-ბაღსა და გაშენებული ვაზის ტერიტორიას კლარჯები ადრე „ბოსტანს", „ბაღსა" და „ვენახს" უწოდებდნენ. ხაზგასასმელია, რომ ტერმინი ვენახი, მაგალითად, ტაოში, ამჟამად ჩვენთვის ცნობილი პირდაპირი მნიშვნელობით არ გამოიყენებოდა და იგი „ყანა"ს, ე. ი. „მიწას" აღნიშნავდა, ასევე, კლარჯეთში მამულისა და ბაღჩების გამოსახატავად ზოგად სახელწოდებად „ვენახი'ს" გამოვლენა განსაკუთრებით საყურადღებოა. კლარჯეთის ტოპონიმიკაში დასტურდება ტოპონიმთა ერთი ჯგუფი, რომლის მეორე ნაწილია – ყანა. კლარჯულში და ზოგადად ქართულ ენაში, ყანა მიწის, ტერიტორიის მნიშვნელობით იხმარებოდა. ადგილის სახელწოდება ჭური ყანა გვხვდება ზედა ქლასკურში. ესაა ადგილი, სადაც ჭურები (ქვევრები) აღმოაჩინეს. როგორც მკვლევრებს მიაჩნიათ, ჭურის პოვნიერება აქ ვაზისა და მეღვინეობის კულტურის განვითარების მანიშნებელია (ფაღავა, 2015:296-302). თავის დროზე, საქართველოს სინამდვილეში ივანე ჯავახიშვილმა შენიშნა, რომ წარსულში საქართველოში, მეურნეობის ინტენსიური განვითარების პერიოდში, მეხილეობის დარგებისათვის განსაკუთრებული ნაკვეთი იყო განკუთვნილი, რის გამოც გაჩნდა როგორც ვაშლის, ბალის, მსხლისა და სხვა ხეხილის, ისე ვაზის ბაღები, რომელთაგან თითოეულს თავისი სახელი ჰქონდა. ნიშანდობლივია, რომ ძველი წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე ივანე ჯავახიშვილი ვაზის ბაღს ვენახად მიიჩნევდა. ძველათ ვენაჯი სწორედ ამ მნიშვნელობით იხმარებოდა. ავტორი ამის დასადასტურებლად ისეთ წყაროს იმოწმებს, როგორიცაა ათონის აღაპები. მაგალითად, ერთ-ერთის მიხედვით: „იყიდა ვენაჯი ათისა მოდისაჲ", ანდა, „დავასხმევინეთ ვენაჯი ხე მოდისაჲ"-ო. მეცნიერი საბოლოოდ ასკვნიდა, რომ ვენაჯი ძველ ქართულში, თავდაპირველად, ვაზის ერთ ძირს აღნიშნავდა. ვაზებით დარგული ბაღის მნიშვნელობა ამ სიტყვას შემდეგში უნდა შეეძინა. ალბათ, იმ ხანაშიც, როდესაც ვენაჯი ვაზის მხოლოდ ერთი ძირის გამომხატველი იყო, ვაზით დარგული ბაღისათვის განსაკუთრებული ტერმინი არსებობდა. V-VI საუკუნეების წერილობით ძეგლებში, დაბადების ქართულ თარგმანში, ლეღვის ბარს – „ლეღოვანი", ზეთისხილისას – „ზეთისხილოვანი", ვაზის ბაღს – „ვენახოვანი" ეწოდებოდა (ჯავახიშვილი, 1934:102-103). ბუნებრივია ვაზის აღმნიშვნელი ზოგადი სახელწოდებები ამ მხრივ ძალიან საინტერესოა. ტაოში ყურძნის ჯიშებიდან ხარობდა კარული ყურძენი, ჯინეში, კურტაჲ, ჩაუში, თურვანთა (თეთრი ფერისა იყო[1]), ელვანი

1 სხვა მონაცემებით, ქისქიმში, ბალხიბარში, არჯევანსა და ქისფოროთის ხეობებში თურვანდა წითელნაყოფიანი ვაზის ჯიში იყო (ფაღავა, 2015: 296-302).

(შავყურძნიანი ვაზის ჯიში, შავი ფერისა იყო), ბუტკო, კივითა (კივიტა), დევური. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ნიკო მარის, ხოლო შემდეგ ს. ტიმოფეევის მიერ ჭოროხის აუზის სხვადასხვა კუთხეში ვაზის არაერთი ჯიში გამოვლინდა (მარი, 2012:367-369; ჯავახიშვილი, 1986:482-486), რომელიც ბოლო პერიოდში ტაოსა და კლარჯეთში განხორციელებული კომპლექსური ექსპედიციების პერიოდში კიდევ უფრო შეივსო (ფაღავა, 2015:296-302; 2020:131-143). ადრე ტაო-კლარჯეთში დაწურული ყურძნისაგან ღვინოც კეთდებოდა, რომელსაც უახლოეს წარსულში შარაფი ერქვა. ადგილობრივთა თქმით „ყურძენს დიდ ქუფებში ყრიდნენ შარაფს იჯებოდნენ'' (აიფ'ი, 2014). მართალია ყურძენს ძველად ღვინის დასაყენებლად იყენებდნენ, მაგრამ შემდეგ, უკვე ისლამურ გარემოში, იგი მხოლოდ საკვებად გამოიყენებოდა. ყურძენი ამ მხრივ ფართო მოხმარებისა იყო. მისგან სხვადასხვაგვარი ტკბილი პროდუქტები მზადდებოდა. ყურძნისაგან ფაფასაც აკეთებდნენ და „ბექმეზ'საც" მოადუღებდნენ. ტაოში ცნობილი იყო ყურძნის ქუმა ანუ ჭანჭუქი, რომელსაც „ჭერიმის ფათხზე'' კიდებდნენ, ასევე, ფესტილი. თითოეული ოჯახი ყურძნის პროდუქციას თავად ამზადებდა და თავადვე მოიხმარდა. ასე რომ, XVIII საუკუნეში ვახუშტი ბაგრატიონისეული დახასიათება, რომ „ფანასკეტი-ოლთისი ხილიანი, ვენახიანი [...] არს ეს ტაო ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი ყოვლითა მარცვლითა, და მთის კერძოთ, ვითარცა ჯავახეთი'', ეთნოგრაფიული მასალებითაც დასტურდება (ვახუშტი, 1941:138). ამდენად, როგორც ვხედავთ, ტაო-კლარჯეთში მევენახეობისა და მეღვინეობის დაწინაურებაზე მიგვანიშნებს აქ გადარჩენილი საწნახელები და ხალხის ხსოვნაში შენახული ვაზის ჯიშები. ყველაფერი ერთად მოწმობს, რომ ტაო-კლარჯეთი და მისი მეზობელი შავშეთიც ღვინის ქვეყანა იყო. ჩანს, ისტორიული ტაო-კლარჯეთის ხეობებში მევენახეობა მეურნეობის მართლაც დაწინაურებული დარგი იყო, განსაკუთრებით გამორჩეული ყოფილა კარჩხალას ხეობა და ჯმერკი. აქ დაწურული ღვინო საქართველოს სხვა კუთხეებში გაჰქონდათ. კარჩხალას ხეობაში ,,აბრეშუმის გზის" გვერდით ,,ღვინის გზაც" გადიოდა. ხეობაში საქარავნე გზა მდინარის სანაპიროს მიუყვებოდა, რომელსაც აბრეშუმის გზას უწოდებდნენ. ამის დასტურად მდინარე კარჩხალაზე გადებული ორი თუ სამი ხიდი და ძველი გზის ნაშთებიც კმარა. ზემოთ, მთის კალთებზე მეორე საქარავნე გზაც არსებობდა. „ღვინის გზა'ს" სწორედ ამ გზას ეძახდნენ (ფაღავა, 2015: 296-302).

ტერასები მარცვლეული კულტურის სათესად ფართოდ გამოიყენებოდა. ტაოში ტერასებში განფენილ ნოყიერ მიწაში, მაგალითად, თეთრმიწიან ტერასებში, ძირითადად, სიმინდი – (ლაზუტი), ლობიო, იგივე, ლებიო, ცერცვი, ასევე, ენდემური ხასიათის ისეთი მარცვლეულიც ითესებოდა, როგორებიც ღომი, ჭვავი, ფეტვი, დიკა და ქერი იყო. ადგილს, სადაც მარცვლეული კულტურა – ხორბალი: ღომი, პური, დიკა, ფეტვი, ჭვავი და სიმინდი ითესებოდა ტაო-კლარჯეთში მიწის მნიშვნელობით ზოგადად ყანა ეწოდებოდა, ისე როგორც ეს ძველ საქართველოში იყო (შდრ. „სათიბელი ქუეყანაჲ, არცა ყანაჲ საჴნავი"). მას კლარჯეთში „ნაპირი'ც" ერქვა. „ყანა'ს" სახნავად ვარგისიან ადგილს ეძახდნენ. საერთოდ, სახმარი

– სახნავი ნაკვეთების სიმრავლით ტაო მაინც და მაინც არ გამოირჩეოდა. სათესი ნაკვეთები, რომელთაც აქაც ყანა (კანა) ერქვა როგორც სახლთან და კარ-მიდამოსთან ახლოს, ისე მისგან მოცილებითაც შედარებით ნოყიერ ნაკვეთებში იყო განთავსებული. ტერმინი ყანა ადრე საკმაოდ გავრცელებული სიტყვა უნდა ყოფილიყო, რადგან ჭოროხის აუზის ქართული მოსახლეობის ტოპონიმიკაში ხშირად იჩენს ხოლმე თავს, მაგალითად, ქლასქურის ხევის სოფელ ქვემო ქლასქურის „მაალე'თა" ადგილთა სახელწოდებებში ქედიყანა და გობიყანა დასტურდება, ბალხის დიდ დასახლებათა შორის არსებული მიწა-წყალზე გვხვდება ადგილის სახელწოდებები – ჭაყანა და ელიასყანა (ტაო, 2019:286).

მარცვლეული კულტურა – ღომი, პური, დიკა, ფეტვი, ჭვავი და ქერი, რომელიც ტაო-კლარჯეთში ადრე საკმაოდ გავრცელებული და ფეხმოკიდებული იყო, უპირატესად, მოახოებულ – გაკაფულ მიწაზე მოყავდათ. მიწა ჯერ მოიწმინდებოდა და შემდეგ მოიწვებოდა, ზედაპირი ნაცრის მსგავსად იქცეოდა. ასეთ დროს „მიწა წმინდა ხდებოდა", ე. ი. საყანე ნაკვეთები წინასწარ უნდა მომზადებულიყო, რაც ტყიანი და ბუჩქებიანი მიწების მოახოების გზითაც ხორციელდებოდა. ჭოროხის აუზის ყველა კუთხე ტყიანი და ბუჩქნარ-ბარდებიანი იყო. ამიტომ, საახოე გამოცდილებით ყველა ხეობა ხასიათდებოდა. ახოობა სამიწათმოქმედო სისტემის შემადგენელი ნაწილი იყო და იგი ტყის გაკაფვის ხარჯზე დროებითი ანდა მუდმივი სახნავ-სათესი ფართობის შექმნას გულისხმობდა. სხვათა შორის, ჭოროხის აუზის გარკვეულ კუთხეებში რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ, კერძოდ, 1878 წლიდან, ტყის კაფვა-მოახოება განსაკუთრებით იკრძალებოდა. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი გლეხები მალულად ტყეებს მაინც ჩეხდნენ. ასეთი საქმიანობისათვის ჯარიმა იყო დაწესებული, მაგრამ ყიშლა-სათიბების მოწყობა გაცილებით სარგებლიანი ჩანდა და გლეხები შეწერილ ჯარიმას იხდიდნენ. შობადობის მაღალი მაჩვენებლების შესაბამისად, დასახლების სიმჭიდროვის მაქსიმალური კოეფიციენტისა და მცირემიწიანობის პირობებში, გლეხი ტყის კაფვასა და მიწის მოახოებას გვერდს ვერ აუვლიდა, რადგან მაღალმთიანი სოფლების უმრავლესობა მოსახლეობის ზრდა-შემჭიდროვებით იყო ჩამოყალიბებული. ახალი სამოსახლოებისა თუ სამეურნეო ბაზების გაჩენაც ახოობასთან იყო დაკავშირებული. სამოსახლო ადგილები ჯერ ხე-ბუჩქნარისაგან უნდა განთავისუფლებულიყო, რისთვისაც იქ ეკალ-ბარდის კაფვა და წმენდა უნდა დაწყებულიყო, ე. ი. თავისუფალი მიწის ათვისების პირველ საფეხურზე აუცილებელი იყო ახოს აღება – ტყისა და ბუჩქნარის გაკაფვა-გაწმენდა (სახოკია, 1985:280-281; ჩიჯავაძე, 1967:53-57; შამილაძე, 1969:93; ნიჟარაძე, 1971:271). ტაო-კლარჯეთში საახოე ტყეში ბუჩქნარის წინასწარ წალდით საგულდაგულოდ გაკაფვა ხდებოდა. ტაოში, როგორც ადგილობრივები გადმოგვცემდნენ: „ადამიანი მიწას დაკაფიდა – დაკაფებდა ლამაზად [...] მომწვართონ უნდა ტყე, შემდეგ ხევნარი უნდა დარგო: ნაძვი, კატარი, აკაცია, ეხლამური. ბაირებში ვაშლს არ დარგავდნენ, ბაირი, იგივე, ტევრი, ისაა, სადაც ხეები არ ხარობს და ხრიოკი ადგილია" (დევაძე, 2017). ბუჩქნარი და ეკალ-ბარდი, რომელიც დასასვენებლად დატოვებულ სახნავ ადგილზე

იზრდებოდა და რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ გაკაფვას, გაწმენდას საჭიროებდა, ზოგან „საკაფავად" იწოდებოდა. ახოს მაჭახლის ხევსა და სხვაგანაც ისეთი სიტყვები ცვლიდა, როგორიც აჭრა და კაფვა (გაკაფვა) იყო. ტაოში კაფვა და ახო თანაბარი მნიშვნელობის სიტყვები ჩანს. ახო, მათი განმარტებით, „ცახიანი ჭალა იყო, გვიმრებითა და ბუჩქებით. კაცი დაკაფვიდა, გაწმენდა მიწას, მოკაფვიდა, ლამაზი რომ შეიქნასო, მერე ლამაზად მოთიბავდა იმ მიწას. იქ არაფერს არ დათესავდა, ჭალად აქცევდა", ე. ი. კაფვა და დაკაფვა ძირითადად სათიბ-საძოვრების გაფართოებასთან იყო დაკავშირებული, თუმცა ეს არ ნიშნავდა იმას, რომ მეურნე გაკაფულ ბუჩქნარს მხოლოდ ჭალის მოსაწყობად ამზადებდა, ბუნებრივია, ზოგიერთი მათგანი სათანადო დამუშავების შემდეგ საყანედაც უნდა გამომდგარიყო. საერთოდ, ბუჩქნარის კაფვა გაზაფხულზე – „ქარჩალზე" იწყებოდა, რადგან „იმ დროს მიწიდან ფურცელი – ბალახი ამოდიოდა". ტაოში მოახოების ტრადიციის ისტორიულად არსებობას ადგილობრივი ტოპონიმიკაც ადასტურებს. ხევაიდან დევსქელის მიმართულებით გამოვლენილია გეოგრაფიული სახელწოდება ახოᲲ. ახო ტაოში სიტყვათა კომბინაციაშიაცაა ასახული, მაგალითად, ხევაიში დამოწმებული ადგილის სახელწოდება დიდახო, სადაც „ხევნარი'ც" იყო, არჯევანის ხეობაში – ჭინახო (<წინახო). ჩვეულებრივ ტერმინ „ახო'ს" ტაოელები მეტყველების დროს იშვიათად მიმართავენ და მას უმეტესად ტერმინი კაფვა ენაცვლება.

ტაოში ხორბლეულს ზოგადად ბუღდაᲲ ერქვა. სულხან-საბა ორბელიანი მოიხსენიებდა სიტყვა „ბურდო'საც", როგორც „ულეწავი ბზე ფეტვთა" (ორბელიანი, 1949: 56). ბუღდა უნდა გვქონდეს თურქულ სიტყვაში – buğday, რომელიც ასევე ხორბალს ნიშნავს (თურქულ-ქართული, 2001). არაა გამორიცხული ეს სიტყვა თურქულში ქართულიდან შესულიყო, მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ მცირე აზიაში – ანატოლიაში დამკვიდრებამდე, ხორბალი და ხორბლის თესვა-მოყვანის კულტურა თურქთათვის დამახასიათებელი არ იყო. ტაო-კლარჯეთში საყანე მიწები წარსულში მართალია ხარებით მუშავდებოდა, მაგრამ ამისათვის უღელისა და სახვნელის სახით ხელოსნების მიერ საგანგებოდ დამზადებული მოწყობილობა იყო საჭირო. ხარებს უღელი და სახვნელი ებმებოდა. მარცვლეული კულტურებისათვის – ღომისათვის, პურისათვის, ფეტვისათვის, ჭვავისათვის ძველად მხოლოდ კარგად დამუშავებული მიწა იყო ვარგისიანი. კლარჯები ამის შესახებ გვიამბობდნენ: აქ „მოდიოდა ფეტვი, ჭვავსაც წინ მოთესავდენ, ახლა ამდგარია. ქერსაც მოთესავდენ და ისიც ადგა". საერთოდ, მარცვლეული კულტურები წარსულში ჭოროხის აუზში ფართოდ იყო გავრცელებული, განსაკუთრებით, მთის ზონებში. მაგალითად, მესხური დოლის პურის ვარიაციებიდან აჭარის მთის ზოლის სოფლებში გავრცელებული წითელთავიანი ხორბალი ყოფილა. იგი მთის პირობებს საუცხოოდ იყო შეგუებული (მენაბდე, 1950:8-10). საშემოდგომო ჯიშის ხორბალს შედარებით მსხვილი მარცვალი, მკვრივი და მაგარი ღერო ჰქონდა. ამის გამო ჩაწოლისადმი მიდრეკილება მასში ნაკლებად შეიმჩნეოდა. ამ სახეობის ხორბალი გრილ და მთიან ადგილებში ითესებოდა, რადგანაც იგი შედარებით დაბალი მთის ჰავის ტემპერატურასა და

ნალექების სიჭარბესაც კარგად უძლებდა (ლომოური, 1946:151). შესაძლოა, იგი დიკას ნაირსახეობა ყოფილიყო. ნიკო კეცხოველის დაკვირვებით, დიკა შუამთის ზონისათვის იყო დამახასიათებელი, რომელიც ზღვის დონიდან ჩვეულებრივ 1000-დან 2000 მეტრის სიმაღლეზე გვხვდებოდა (კეცხოველი, 1957:286). ამიტომ ვარაუდობენ, რომ ძირითადი სახეობა წითელთავთავიანი მესხური ჯიშის ვარიაცია უნდა ყოფილიყო, რადგანაც ქერისა და ხორბლის თესლი ჭოროხის აუზის მიმართულებით ყოველთვის სამცხედან, უმთავრესად – ქვაბლიანიდან გადმოჰქონდათ (მგელაძე, 2013). სამცხის, აჭარისა და ტაო-კლარჯეთის მსგავსად ხორბლეულის ჯიშები მრავალფეროვნად შავშეთშიც იყო წარმოდგენილი, სადაც ასევე ბუნებრივი გარემოთი შეპირობებული მეურნეობის ძირითადი დარგები – მიწათმოქმედება და მესაქონლეობა სიმბიოზურ ხასიათს ატარებდა. აქ მარცვლეულის ტრადიციულობაზე ადგილობრივი ტოპონიმიკა და სათანადო ინვენტარი თუ ნაგებობებიც მეტყველებს: საქერავი ხევი, ნაკალოევი, ჭუავის საგორებელაი, ნაკოდიკალო, დოლიანთა, ნაკალევეთი (ფუტკარაძე, 2011:112), ასევე, კლარჯეთში, ქლასქურის ხევის სოფელ ზემო ქლასქურის წკირმუნეთის უბანში ადგილის სახელწოდებები – კალო და ნაკალოევი დასტურდება. ტრადიციულად, სახლის მახლობლად და მისგან მოცილებით მინდვრებში, ვაკე ადგილებში სათესებთან ახლოს ქვებით – „ყორე'ებით" წრიულად შემოზღუდული სამეურნეო ნაკვეთები, კალო-მოედნები იყო გამართული, რომელთაც ზოგადად კალო ერქვათ, თუმცა მათ პარალელურად სახელწოდება „ხარმანი'ც" გვხვდება. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „კალო სალეწავი ადგილი იყო" (ორბელიანი, 1949:159). ნიშანდობლივია ასევე კლარჯულ კარ-მიდამოს, რომელიც დასახლების სტრუქტურაში შედარებით მცირე სოციო-გეოგრაფიულ უჯრედს წარმოადგენდა, ზოგჯერ ტერმინი კალო რომ ენაცვლებოდა, თუმცა, ვფიქრობთ, იგი მეორეული სახელწოდება უნდა ყოფილიყო. კალო კარმიდამოში ისეთ მოვაკებულ ადგილს ერქვა, სადაც მოყვანილი ხორბლეული – პური იყრებოდა და ირჩეოდა. კალო ზოგჯერ საცხოვრებლის კარისპირზეც მდებარეობდა. დროთა განმავლობაში, კალოს მნიშვნელობა გაფართოვდა და იგი მეტყველებაში თითქოსდა კარ-მიდამოს ჩაენაცვლა. კალო თითქმის ყველა სახლეულისათვის სასიცოცხლოდ საჭირო სამეურნეო ადგილს წარმოადგენდა. კლარჯები იმაზეც საუბრობენ, რომ მურღულში, სანამ ახალი ფაბრიკები გაკეთდა, ყველა ოჯახს კალო ჰქონდა. მათი თქმით, „ხარებს დააბმევდნენ და კალოს უარებდნენ". ოჯახებს ყველაფერი კარ-მიდამოში, „სახლის ძირში" ჰქონდათ: სახელოსნოები, პურის, სიმინდის შესანახი საკუჭნაოები. დღეს, ამგვარი ტრადიციული მეურნეობრივი ხედვა ხალხური გამოთქმით „დაწვა, კალოებიც აიღეს". ადრე კი ტაო-კლარჯეთში სახლთან ახლოს მოვაკებულ ადგილებსა და სახლიდან მოშორებით დავაკებულ მინდვრებში კალოზე მარცვლეული ხარებით ილეწებოდა, რომელსაც კევრი (კევრე/ჩარდაღი) ჰქონდა გამობმული. კევრზე ბავშვი ანდა ქალი შედგებოდა ხოლმე, რათა კევრს სიმძიმე შემატებოდა და ნიადაგზე მიმობნეული თავ-თავი უკეთ გაელეწა. კლარჯეთში კალოსთან კონტექსტში განიხილებოდა კულტურის ისეთი ელემენტი, როგორიც სახნისი – კავი იყო.

ტაოელთა ყანაში წარსულში ტრადიციულად ითესებოდა ღომი (გურჯი ღომი), ქერი, დიკა, ცერცვი (შაჲ ცერცვი), სიმინდი, თუმცა ტაოში სიმინდს ყველგან არ ცნობდნენ და უპირატესობას მაინც ხორბლეულს ანიჭებდნენ; მზესუმზირა, რომლის ბუდეში მოთავსებულ მარცვლებს მზის დისკოსთან მსგავსების წაბაძვით, ბორჯღალი ეწოდებოდა; ცოცხი, რომლისათვის განსაკუთრებული ნიადაგი – საცოცხე იყო საჭირო. ყანაში ჭარხალიც ითესებოდა. ჭარხალი წითელი ფერისა იყო, მიწის ქვეშ თავი ჰქონდა, მიწის ზევით კი – ფურცელი. ყანაში შეხვდებოდით „მიწავაშლს", თუმცა მიწავაშლი უკვე თითქმის აღარ ითესება. მიწა ამოითხრებოდა, განოყიერების მიზნით მიწაში ნეხვი ერეოდა და მიწავაშლიც ამგვარად დამუშავებულ მიწაში ითესებოდა. დიასახლისები მიწავაშლს ხარშავდნენ და სახლეულის წევრებს უმასპინძლდებოდნენ, ზოგჯერ მას საჭმელსაც ურევდნენ. მიწა სათესად საგანგებო დამუშავებასა და მომზადებას მოითხოვდა. მიწის დამუშავებას – „ყანის მოთხრა'ს" კლარჯები გაზაფხულზე, აპრილში – „ნისან'ში" იწყებდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ ტაროსი მაისში წვიმიანია, ხოლო ნისანში კი – მზიანი. კარგი მოსავლისათვის აუცილებელი იყო სათესის, განსაკუთრებით, სიმინდის სარეველესაგან გამარგვლა – გამარგლობა და გაშიშვალება, რასაც კლარჯები ასევე „ჩერგნა'ს", „გამერჩალება'ს", „გამოსხვლა'ს" ეძახდნენ, რაც ქალის საქმიანობის სფეროში შედიოდა. ჩვეულებრივ სიმინდის ყანა მიწის დახვნის შემდეგ ორჯერ იმარგლებოდა.

ტაოელებისა და კლარჯების საოჯახო მეურნეობაში მნიშვნელოვანი იყო ღომის კულტურა. ჭოროხის აუზიდან ადრე გავრცელებული ღომის ჯიშების დადგენა ჭირს, თუმცა ივანე ჯავახიშვილს ზოგადად საქართველოში შესწავლილი ჰქონდა ღომის საინტერესო სახეობები. ესენია: კირჩხელურა, ბურჩხა, ბაწარა და ჯაშური (ჯავახიშვილი, 1930:369). ჭოროხის აუზის რეგიონებში და საქართველოს სხვა კუთხეებშიც ღომისა და მსგავსი მარცვლეულის გავრცელებას ადრეული ლიტერატურული წყაროებიც გვიდასტურებს. ვახუშტი დასძენდა: XVIII საუკუნის დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი „გამოიზრდებიან ღომითო" (ვახუშტი, 1941:145). წერილობითი წყარო გვამცნობს, რომ „თურქეთის ქვეშევრდომი ქართველები [...] და [...] მეოტიდის ჭაობის სრუტიდან ტრაპიზონამდე შავი ზღვის ნაპირების ყველა მცხოვრები მხოლოდ და მხოლოდ ამ ღომით იკვებებაო". ჟან შარდენის თქმით, ღომი დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა პური ყოფილა (შარდენი, 1975:112; შდრ. ლამბერტი, 1938). ჭოროხის აუზის რეგიონებში ღომის კულტურა ჯერ კიდევ ადრე, XIX საუკუნის 60-იან წლებში, ჯიფორდ პალგრევსაც აქვს დამოწმებული (პალგრევი, 1882:67). ჭოროხის აუზიდან ზემო აჭარაშიც, კერძოდ, კი ღორჯომის ხეობაში, ეთნოგრაფიულად ღომის ისეთი სახეობები დაფიქსირდა, როგორებიც იყო ურუშნაირი და თეთრი წვიტა (მგელაძე, 2013). მარცვლეული კულტურის დასახელებული სახეობები ზემო აჭარის მთიან ხეობებსა და თემებში, მართალია, იმთავითვე ითესებოდა, მაგრამ ამის მახსოვარი, განსაკუთრებით ოსპისა, დღეს ცოტა თუ შემორჩა, მაგრამ მაინც ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომი დრო ნიშნავს იმას, რომ ტრადიციული მარცვლეულისადმი დამოკიდებულება და მეხსიერება ხანგრძლივი იყო. ღომი, ისე როგორც ადრე არსებული

მარცვლეულის სხვა სახეობა, ტაო-კლარჯეთშიც დიდი ხანია აღარ ითესება, როგორც ადგილობრივები ამბობენ, „დიდი ხანია ადგა" („დიდი ხანია ამოწყდა"). ღომმა და სხვა მარცვლეულმა კულტურებმა გზა სიმინდს დაუთმო, რადგან იგი უფრო უხვმოსავლიანი გამოდგა და მას სხვებთან შედარებით რიგი უპირატესობა ჰქონდა. XIX საუკუნის 70-იან წლებშიც კი – მოსახლეობა მაინც სიმინდს ამჯობინებდა, როგორც მოსავლიან მარცვლეულს. მოსახლეობის ჩვეულებრივი საკვებიც მჭადი ყოფილა (ყაზბეგი, 1960:85). წარსულში კი – ღომი, რომელსაც თურქულად ილინ'ი ერქვა, ტაო-კლარჯეთში საოჯახო საკვების შემადგენელი ნაწილი იყო. იგი მოყვითალო ფერისა იყო, რომლისგანაც, მაგალითად, ტაოში, უპირატესად, „შორვა'სა" და „ღომის ფაფა'ს" აკეთებდნენ. ღომს მანამ, სანამ სპეციალურ ჭურჭელში დაცეხვავდნენ, „ჯეჯიმში"– დიდ მოქსოვილ ტომარაში ჩაყრიდნენ ანდა გაფენილ ქსოვილზე გაშლიდნენ და „ჯოხით მუსქმენდნენ" – ცეხვავდნენ.

ქერი ერთერთი უძველესი მცენარეული კულტურა იყო. მას საქართველოში პრეისტორიული ხანიდან თესდნენ. პურთან შედარებით ქერი უფრო დაბალი იზრდებოდა, მოსავალი კი უხვი და ბარაქიანი იცოდა. გაზაფხულზე ყველაზე ადრე ქერი ითესებოდა. ქერს, უმთავრესად, სადაც ნოყიერი მიწები იყო, იქ თესდნენ, მაგრამ მაინც დასარეველიანება ძალუმად იცოდა. ნიკო კეცხოველის დაკვირვებით, შუამთისა და მაღალი მთის ნათესებს ქერი იმდენად ძლიერად ასარეველებდა, რომ ზოგჯერ ძირეული ნათესი იკარგებოდა (კეცხოველი, 1957:291). ტაოში გვხვდებოდა ორი სახეობის ქერი: წირიქერი, რომელსაც ერთი თავთავი ჰქონდა და კერკეჭი, რომელიც ხუთ-ექვს თავს გამოიღებდა ხოლმე. იგი ჩვეულებრივ ყანაში ითესებოდა. როცა მიწიდან ქერი წამოიზრდებოდა, შემდეგ ჭიკარტი წამოვიდოდა, მიწის ვაშლს ჰგავდა. ქერს გაყვითლებამდე, „მიწივაშლის" მსგავსად, მიწიდან ამოიღებდნენ. ქერის ღერო ადგილზე რჩებოდა, ხოლო ჭიკარტებს სახლში მიზიდავდნენ და „გაჯოხდნენ", წყლით კარგად გარეცხავდნენ და მოხარშვის გარეშე მიირთმევდნენ. მიწის ვაშლი ზომით დიდი იყო, ჭიკარტი კი – შედარებით მცირე.

ტაოელებისა და კლარჯების მეურნეობაში, დროთა განმავლობაში, ღომი, პური, ფეტვი, ჭვავი სიმინდმა გამოდევნა. სიმინდი, ე. წ. ლაზუთ'ი ტაოში გვიან გავრცელდა. სიმინდის სახეობებიდან ცნობილი იყო აქეური და ჭანი. საერთოდ, ჯერ-ჯერობით, ჭოროხის აუზის სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის, ზოგადად, თურქეთში კვლავ დასადგენია სიმინდის კულტურის შემოტანის დრო, პირობები, გზა და ის ქვეყანაც, საიდანაც ამ მცენარის თესლი პირველად გადმოიტანეს. საქართველოში სიმინდის შემოტანის პერიოდი ივანე ჯავახიშვილმა XVII საუკუნის პირველი ნახევრით შემოფარგლა (ჯავახიშვილი, 1930:363-364). პაატა გუგუშვილი სიმინდის საქართველოში დამკვიდრების დროდ XVII საუკუნის მეორე ნახევარს მიიჩნევდა (გუგუშვილი, 1954), ხოლო სერგი ჯიქია სიმინდის საქართველოში მოშენებას XVI საუკუნეში ვარაუდობდა (ჯიქია, 1944:227-236; 1947; ბრეგაძე, 1966:767-773). ჩანს, რომ XVI-XVII საუკუნეებში, სიმინდი, როგორც მაღალმოსავლიანი და ამ მხრივ მომგებიანი მცენარე

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, შესაძლოა, უფრო ადრეც, ჭოროხის აუზის მოსახლეობაში ძირითად მარცვლეულ კულტურად გადაიქცა. სიმინდმა წლების მანძილზე პურეული მცენარეები მთლიანად განდევნა. სიმინდის გაბატონებას, ბევრ ხეობაში, ხელი შეუწყო ნალექების სიუხვემ, სრულმა სავეგეტაციო პერიოდმა, შესაფერისმა კლიმატმა და რიგმა სხვა ფაქტორმა. სიმინდის დამკვიდრებას ნოყიერი ნიადაგი მცხოვრებთა სამიწათმოქმედო გამოცდილებისა და ცოდნის ტრადიციულობამაც შეუქმნა (მგელაძე, 2013).

ტაოელებისა და კლარჯების საოჯახო მეურნეობაში ბრინჯი და ბამბა მასიურად არ იწარმოებოდა, თუმცა ბრინჯის კულტურამ ზოგან მათ სახლეულთა სავარგულებში ფეხი მაინც მოიკიდა და, ბოლოს, ჩაიც მოხმარების უმნიშვნელოვანესი ელემენტი გახდა. იგი თანდათანობით, ეკონომიკური განვითარების ვექტორების გამოისობით, თურქეთში, ისე როგორც ეს თურქეთის სხვა მეზობელ ქვეყნებში, მაგალითად, საქართველოში მოხდა, გადაგვარების გზას დაადგა და რეალურად განაშენიანებიდან ამოვარდა. ოჯახები სახლეულთა საჭიროებისათვის ამ ტიპის მარცვლეულ და საფეიქრო კულტურებს ბაზრობებზე ყიდულობდნენ. ტაოში ფირინჯი, ბრინჯის ხე არ ისხამდა, მაგრამ მას „სატრედ"– სატარედ იყენებდნენ, რადგან მაგარი ხეა და ცულის ტარისათვის ზედგამოჭრილ მასალას წარმოადგენდა. იგივე შეიძლება ითქვას თამბაქოს კულტურაზეც. ადრე თამბაქო საყოველთაოდ გავრცელებული იყო, შემდეგ, ჩაის ნატურალურად წარმოების მსგავსად, ინტერესს მიღმა აღმოჩნდა. ბუნებრივია, მიზეზები თანამედროვე ურბანული საზოგადოების კონკურენციულ ბაზარსა და კომერციულ ინტერესებში უნდა ვეძიოთ. ბევრი კლარჯეთში თუთუნის გაქრობას მდინარე ჭოროხზე კაშხლების მშენებლობას, დასახლებული პუნქტების დაძირვას უკავშირებს. მათი თქმით, „ბარაჯები რომ გაკეთდა, ნესტია და წვიმს. არ ხმება, ახლა არავინ არ იჯება, სიმინდს იჯებიან".

ტაოელი და კლარჯი მეურნისათვის მოსავალი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თემა იყო, რის გამოც ამინდისა და უამინდობის საკითხს რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული არაერთი რიტუალი თუ მაგიური ქცევა უკავშირდებოდა. ყანის დაცვა სხვადასხვა ხერხით, როგორც ტექნიკური, ისე მაგიური მიმართულებით მიმდინარეობდა. მთხრობელის თქმით, „ნენე დაკოჭევდა – ყანები არ შეჭამოს დათვმაო". რადგან მოსავლიანობა, საოჯახო ბარაქა ამინდზე დიდად იყო დამოკიდებული, ამიტომ ტაროსი აქაური მეურნისათვის განმსაზღვრელი ფაქტორი იყო. ტერმინი ტაროსი ჭოროხის აუზის მოსახლეობის ლექსიკის შემადგენელი საკმაოდ ძველი სიტყვა ჩანს, რომელსაც საკრალური დატვირთვაც გააჩნდა, შესაბამისად, ტაოელები და კლარჯები ტაროსის ღვთაებისადმი განსაკუთრებული რიტუალური ქცევებით იყვნენ დაკავშირებულნი. გადაჭარბებული წვიმა, ისე როგორც გვალვა, მოსავლის საზიანოდ მოქმედებდა. ამინდის ღვთაებისადმი სხვადასხვა ტიპის მისტიკური ქცევები მისი მართვის გამო იყო ჩამოყალიბებული. მათგან საბავშვო ეთნოგრაფიაშიც რელიგიური თემატიკა განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა. მაგალითად, თუ დიდხანს არ გაწვიმდებოდა, მაშინ სოფლად მცხოვრები კლარჯები ბავშვებს ღელეში ჩაიყვანდნენ, ბავშვების მონათხრობით, წყალზე „წიმიყვანდენ, დიდვანები

დუას იტყოდენ. დედეი შევდოდა, ნედლ ხეზე მააკოჭებდა ქვას, წკვინდა, ღელეში ჩააყირავებდა ამ ხეს. ეს ქვა დაკიდული იქნებოდა". ამის შემდეგ გაწვიმდებოდა. საერთოდ, ხანგრძლივი წვიმიანობის დროსაც მოსახლეობა „დუას იქდა". ეს იყო წვიმის დუა. უამინდობის, ძირითადად, გვალვების პერიოდში, როცა მოსავალს საფრთხე ემუქრებოდა წვიმის მოსვლის მიზნით კლარჯები ასევე საფლავის – „მეზერი'ს" ქვებს შეაგროვებდნენ და წყალში ჩაყრიდნენ, შემდეგ კი თითოეული „მეზერის ქვა'ს" ამოიღებდა და თან მიჰქონდა. სწამდათ, რომ ამ რიტუალის შესრულების შემდეგ ამინდის ღვთაება მათ წვიმას მოუვლენდა.

ტაო-კლარჯეთის მიწათმოქმედებისათვის ვარგისიან ადგილებში თივის ზვინებს ადრე ხშირად შეხვდებოდით, რომელიც საზამთროდ საქონლის საკვებად გამოიყენებოდა. ჯერ გრძელ ხუთი-ექვსი მეტრის ხეს – „ღერს" დაასობდნენ, რომელზეც ჩალას შემოახვევდნენ, რასაც, მაგალითად, კლარჯეთში, აწალი ერქვა. აწალი ერქვა თივის ზვინსაც. ზვინები გვხვდებოდა კარ-მიდამოსთან ახლოს მდებარე ბოსტან-ბაღჩებში და სათესი ნაკვეთების შემდეგ ისეთ მნიშვნელოვან სამეურნეო ზოლში, როგორიც ჭალები იყო. ორივე სამეურნეო ზონა სარწყავ სისტემასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. სამიწათმოქმედო ყოფის ოპტიმალურად წარმართვისათვის აუცილებლობას წყაროებისა და სარწყავი-საირიგაციო სისტემის მაღალ დონეზე გამართვა წარმოადგენდა. სათესი ნაკვეთები მარცვლეულის მოსაყვანად იყო განკუთვნილი, ხოლო ჭალები სათიბად და საქონლისათვის საზამთრო მარაგის შესაქმნელად. სარწყავი მიწათმოქმედება როგორც კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, ისე მცირე აზიაში – ანატოლიაში წარსულში საკმაოდ განვითარებული იყო. ისტორიულადაც კლარჯეთი, განსაკუთრებით კი – ტაო საირიგაციო სისტემით მოწესრიგებული უნდა ყოფილიყო. იქ რუ და არხები ძველთაგანვე შენდებოდა, რომლებითაც დასახლებები სასმელი წყლით მარაგდებოდა, მაგრამ გამოყვანილი წყლებით ძირითადად მაინც მიწის ნაკვეთების მორწყვა ხდებოდა. მათ შესახებ გადმოცემებიც კი არსებობს. „მოწმინდა'ზე" მოსახლეობა შუასაუკუნეების რუზე მიუთითებს, რომელსაც თამარ მეფის – „თამარას ნაკეთებად" მიიჩნევს. არხები და რუები, რომლებიც ყორის ქვებით იყო შემაგრებული, ჭალების გარდა პურის ყანების სარწყავადაც გამოიყენებოდა. ერთი ასეთი ძველი რუ, გადმოცემით, ჭალა-ყანებისაკენ მთელი თორმეტი კილომეტრის მანძილზე ყოფილა გაჭრილი და გაყვანილი. ცნობილია, რომ ტაოში რამდენიმე კილომეტრზე კლდეში გამოკვეთილი სარწყავი არხიც არსებულა, რომლის მშენებლობაც, ასევე, XII საუკუნეში მეფე თამარს მიეწერება. ტაოში, კონკრეტულად კი პარხალში, ბუნებრივი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე საირიგაციო სისტემისადმი ინტერესი დიდი იყო და, შესაძლოა, ამანაც განსაზღვრა წყლის არხთა გამოყვანის ტრადიციათა შესახებ მოსახლეობაში გადმოცემათა ციკლი თუ არაერთი ლეგენდა რომაა შექმნილი და შემონახული, რომელთა უმეტესობაც მეფე თამარის სახელთანაა დაკავშირებული. ერთი გადმოცემით „თამარაჲ გურჯი ყოფილა [...] თამარი დედოფალის წყლის კანალი უშენებია. ფარა გათავებია, საჭმელი უკეთებია. მერე თამარას პარხალს ქილისა უშენებია" (თურგუთ'ი,

2017). ხევისპირულ დასახლებებში სარწყავი კულტურა დასახლების ფორმებსა და, საერთოდ, დასახლებებზეც დიდ გავლენას ახდენდა. ასე იყო ტაოშიც, სადაც ხევისპირული დასახლებების სამიწათმოქმედო ყოფისათვის სარწყავი სისტემის გამართულობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტაო საკმაოდ ცხელი, კლდოვანი ზონალობის ტერიტორიული სივრცე და წყლით მდიდარი რეგიონი იყო, რაც იქ საირიგაციო პერსპექტივებსა და მნიშვნელობას ერთიორად ზრდიდა. ამიტომაც იყო ტაოს თითქმის ყველა სათემო დასახლებაში, მაგალითად, ელიყანაში, სარწყავი სისტემის კეთილმოწყობას ესოდენ დიდი ყურადღება რომ ექცეოდა. მოსახლეობას საერთო რუ ჰქონდა გამოყვანილი. რუს გამოყენებაზე რიგი იყო დაწესებული. იგი კომლების მიხედვით, ზოგჯერ, საზიაროდ სათანადოდ იყო გადანაწილებული. რუ ქართულში ფართოდ გავრცელებული სიტყვა იყო. სულხან-საბა ორბელიანით „რუ წს არს: წყალი სარწყავად გადებული" (ორბელიანი, 1949:284). ტერასული მეურნეობა ადამიანს ტერასაში მოქცეული მიწის მორწყვის აუცილებლობის წინაშეც აყენებდა. ადგილობრივები სარწყავი სისტემის განვითარებას ტაოს ნიადაგში ქვის სიმრავლით ხსნიდნენ: „აქ მიწას რწყვა უნდა – მიწა არაა, ქვაა". ასევე, მცირემიწიანობის პირობებში სასარგებლო ნაკვეთებში გამოთავისუფლებული ადგილები ჭალებად გამოიყენებოდა. ჭალა სახლიდან მოცილებით მდინარისპირა ფერდობებსა და ტყიან ზონაში მინდვრებშიც იყო წარმოდგენილი. იგი ზოგჯერ სახლის – ქოხის წინ მდებარე ადგილებშიც იყო განლაგებული, რომელსაც ჩუმბულო ეწოდებოდა. ჭალა, სადაც საქონლისათვის საზამთრო საკვები – თივა მზადდებოდა, წლის შესაბამის მონაკვეთში გამუდმებულ რწყვას მოითხოვდა. ჭალები „ნიჩბებით" ირწყვებოდა. რწყვა, ძირითადად, რუს მეშვეობით ხორციელდებოდა. იტყოდნენ: „რუს ვწენვართო". ჯერ დიდი რუ გამოყავდათ, რომელიც საჭირო ადგილებში – ჭალების მიმართულებით იტოტებოდა, ე. ი. დიდ რუს ამა თუ იმ ჭალის მოსათიბად პატარა რუები გამოეყოფებოდა. ასეთ პატარა რუს – მაგალითისათვის შეიძლება დასახ-ლებულ პუნქტთა ერთობლიობა – ელიახევი დავიმოწმოთ, სადაც მრავალ-ტოტიანი რუები იყო გამართული, რომლებიც უმთავრესად მაინც ჭალების რწყვისათვის იყო გამიზნული. სხვათა შორის, შესაძლოა ჭალების დიდი სასიცოცხლო ეკონომიკური მნიშვნელობიდან გამომდინარეობდა ის ფაქტი მათ აღმნიშვნელად ადგილთა გეოგრაფიული სახელების სიმრავლესთან რომ გვქონდა საქმე.

ჭოროხის აუზის ქართულ პროვინციებში მიწის მუშა „ლენჩიბერად" იწოდებოდა (მგელაძე, 2007:241-248). ტაოელი მეურნესაც, რომელიც ჭა-ლებსა და ყანებში შრომობდა, ადრე ლენჩიბერი ერქვა. ტაოში ლენჩიბერი გამოცდილ მიწის მუშად ითვლებოდა, ამუშავებდა საკუთარ ყანას, მაგ-რამ ზოგჯერ „იჯარით" აღებულ ნაკვეთსაც უვლიდა. იგი მდიდარი არ იყო, თუმცა ეს სახელწოდება მას გარჯილობის, შრომისუნარიანობის, სა-მიწათმოქმედო საქმის კარგად ცოდნის საფუძველზე დაუმკვიდრა. ამ ტი-პის ლენჩიბერებისათვის და, საერთოდ, დასახლებებში არსებული სახლთ-მეურნეობის წევრთათვის სამიწათმოქმედო, და არა მარტო სამიწათმოქმედო

ყოფაში, არამედ, ვთქვათ, მშენებლობის სფეროში, დიდი მნიშვნელობა ურთიერდახმარებას – შრომით კოოპერაციას ენიჭებოდა. ჯგუფური შრომითი დახმარებიდან, მაგალითად, კლარჯებში ნადი უნდა გამოიყოს. ნადს უპირატესად იწვევდნენ მიწის სამუშაოებისას – თოხნაზე, სადაც ზოგჯერ ორმოცი ადამიანი მონაწილეობდა, პურის ჭრაში, სიმინდის რჩევისა თუ სიმინდის გარჩევისას, „მოლიმოჭრაზე", სახლის მშენებლობის დროს. ყველა დასახელებული აქტივობა საკმაოდ შრომატევად სამუშაოებთან იყო დაკავშირებული. ნადში ტრადიციულად დასახმარებლად მეზობლებს, უფრო, განაყოფ ოჯახებს იწვევდნენ, რაც ხშირად ნათესაური ნადის სახეს იღებდა. შესაძლოა, ესა თუ ის განაყოფი ოჯახი ნადში გამორჩენოდათ, მაგრამ ნათესაური ვალდებულებებიდან გამომდინარე, იგი ნადს დამოუკიდებლად მაინც უერთდებოდა. ასეთ დახმარებას კლარჯები „შველა'ს", „დაშველება'ს" ეძახდნენ. ის ოჯახი, რომელიც ნადს იწვევდა, ვალდებული იყო ნადის წევრებს სადილით გამასპინძლებოდა. ნადი – შველა და დაშველება სანაცვლო დახმარებასაც გულისხმობდა, რადგან მძიმე და ხანგრძლივი სამუშაოების შესასრულებლად ინდივიდუალური ძალისხმევა საკმარისი არ იყო და ჯგუფის თანადგომას საჭიროებდა. ტაოელთა და კლარჯთა ტრადიციულ სამეურნეო ყოფაში როგორც მამაკაცთა, ისე ქალთა ნადური გაერთიანებებიც შეინიშნება. ქალთა ჯგუფურ შრომით ორგანიზაციას ადგილი ჰქონდა სამიწათმოქმედო სამუშაოების შესრულებისას, მაგალითად, მიწის თოხნის – „მიწის მოთხრის", სიმინდის აღების დროს: „ნაპირში სიმინდი მოტეხვაზე ქალები წავიდოდენ", ასევე, ქალები „ცხვარის ბურდღის ხერტალზე დართვისას, საჩეჩელზე გაჩეჩვისას ერთიანდებოდენ". როგორც ხერტალი, ისე საჩეჩელი ქალთა ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი საგნები იყო, რადგან ნატურალური ყოფის პირობებში რთვა-ქსოვა, სახლეულის წევრთა შემოსვაზე ზრუნვა და, შესაბამისად, სათანადო ტანისამოსის მოქსოვა თუ შეკერვა სწორედ საქალებო საქმეს წარმოადგენდა. შრომის პროცესში მონადეები იმღერებდნენ, ერთმანეთს გადასძახებდნენ. შრომითი ლექს-სიმღერებიდან გავრცელებული იყო ნადური, რომელიც სიყვარულის თემატიკას ასახავდა და გადაძახილ-გადმოძახილით სრულდებოდა. სასიყვარულო-სატრფიალო ნადური პოეზია შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა. ნადშიც იცოდნენ ახალგაზრდა ქალისა და მამაკაცის შეთვალიერება. ამიტომ მოგვითხრობდნენ დასაქორწინებელი გოგონები – „ბიჭებს ვუყურებდით, ბაბო არ გამგზავნიდა, მაგრამ ნადში უჩუმრად წავიდოდით"-ო. ასევე, ნადში თოხნის პროცესში, როცა მონადეები „თოხით გეი-გამოდიოდა", მამაკაცთა ერთი ჯგუფი „ელესა'ს" იმღერებდა და „ჰეამო'ს" შემოსძახებდა, ხოლო მეორე ჯგუფი პასუხობდა.

ტაოელებსა და კლარჯებში სიტყვა მოდგმა პირდაპირი მნიშვნელობით ნათესაურ ჩამომავლობას არ აღნიშნავს, იგი არც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული ურთიერთდახმარების ფორმის – „მოდგამი'ს" გამომხატველია. მოდგმა იქ გვერდით მოჯენას, სიახლოვეს, გვერდით დგომას გულისხმობს. თავად ჯგუფური შრომითი ერთობის აღმნიშვნელად ტაოელებსა და კლარჯებში სიტყვა მოდგამი ჯერჯერობით ვერ დავადასტურეთ, ისე როგორც მანიდი, თუმცა ცენტრალურ თურქეთში

კლარჯეთიდან წასულ ქართველ მუჰაჯირებში ეს უკანასკნელი ტერმინი მაინც გამოვლინდა. იქ მანიდი მომხმარებელი („ჩემი მანიდი") იყო. მე თუ ერთი დღე მომეხმარებოდა, შემდეგ მეც ერთი დღე მოვეხმარებოდი, ე. ი. მანიდი სანაცვლო დახმარებას ნიშნავდა. შრომითი ურთიერთდახმარების სფეროში ყურადღებას შრომის ორგანიზაციის ისეთი ფორმა იქცევს, რომელიც, მიწის ხვნის პროცესში პირუტყვის დროებით გაერთიანებას გულისხმობდა, მაგალითად, თუ ოჯახს ერთი ხარი ჰყავდა, ხოლო მეორე ოჯახსაც – ერთი, მაშინ ხარებს დააწყვილებდნენ, გააერთიანებდნენ და ჯერ ერთი ოჯახის მიწას დაამუშავებდნენ, ხოლო შემდეგ – მეორე ოჯახისას. ურთიერთდახმარება იცოდნენ მესაქონლეობის სფეროშიც. მეზობლები, უმეტესად განაყოფები, ერთი ფუძიდან განაწილებული სახლეულები ერთმანეთს შეუამხანაგდებოდნენ, რასაც კლარჯებში შეფერებული ეწოდებოდა. თუ იჲაილებზე მათ ქოხები ერთმანეთის მახლობლად ჰქონდათ, მაშინ თანადგომაც მორიგეობით სრულდებოდა. მთხრობელების თქმით, „მე წეველ ჩემ სახლს შეხედავს, ის წავა – მე შევხედავ". ამგვარ სიტუაციაში განაყოფებს აილებზე ერთმანეთის საქონელიც მიჰყავდათ. ბუნებრივია, ამ ტიპის დახმარება უსასყიდლო იყო. ამასაც „დაშველება'ს" უწოდებდნენ, დაშველება კი ტაო-კლარჯებში დახმარების საყოველთაოდ მიღებული ფორმა იყო.

დასკვნა.

ტაო-კლარჯეთის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა ტრადიციული ფასეულობა ადასტურებს, რომ ჭოროხის აუზის შენაკად ხევებთან ერთად, ტაო და კლარჯეთი ერთიანი კულტურული სივრცის ორგანული ნაწილები იყო, რაც ჩანს დასახლებაში წარმოდგენილ სოციალურ ცხოვრებაში, მატერიალური კულტურასა და სამეურნეო ყოფაში. ამ დიდ გეოგრაფიულ და ისტორიულ არეალში კულტურის ელემენტთა მეტ-ნაკლები უნიფიცირება და ყოფითი კულტურის მსგავსება, ჭოროხის აუზის მხარეების – ტაოსა და კლარჯეთის, შავშეთისა და აჭარის არა მარტო საერთო-ისტორიულმა პოლიტიკურმა პროცესებმა, არამედ საერთო წარმომავლობითმა ფესვებმა და საერთო ისტორიულმა ბედ-იღბალმაც განსაზღვრა. ადრე შუასაუკუნეებიდან მოყოლებული, განსაკუთრებით, ერთიანი საქართველოს ფორმირების პერიოდიდან, ეს მხარეები საერთო ისტორიას ქმნიდნენ, ხშირად, პოლიტიკურად ერთ დიდ სამთავროში ერთიანდებოდნენ, რის გამოც საერთო ტერიტორიულ სივრცეში ჰქონდათ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, ხშირი მიმოსვლა, შიდა და გარე მიგრაციები, ერთი კუთხიდან მეორეში იძულებითი აყრა-გადასახლება, რაც ბუნებრივია, კულტურის ელემენტთა დიფუზიასა და გავრცელებას განაპირობებდა. უკვე განვითარებული შუასაუკუნეების მიწურულს, ოსმალთა მმართველობის თანმიმდევრულად დამკვიდრების შემდეგ, რამაც ასევე ერთობლივი პოლიტიკური მისწრაფებები გამოიწვია, მათი საერთო ისტორიული ბედიც განსაზღვრა. ეს კულტურულ ცხოვრებასაც შეეხო. დაიწყო ცვლილებები ლექსიკის სფეროში, მაგრამ ტერმინოლოგიურმა ცვლილებებმა ყოფა-ცხოვრებაში კულტურის ელემენტებს, მათ შორის,

მატერიალურ და არამატერიალურ ღირებულებებს შინაარსი ვერ შეუცვალა და მიუხედავად ტრადიციულ ღირებულებათა ტრანსფორმაციის პროცესისა, მათი დიდი ნაწილი უცვლელი და ლოკალური ნიშან-თვისებებით ზოგადქართული ბუნების დარჩა. საერთო ფესვებისა და საერთო განვითარების ფასეულობათა ნიშან-თვისებები მკაფიოდაა ასახული თითქმის ყველა მიმართულებაში, მაგრამ განსაკუთრებით ისინი დასახლების ფორმებში, ცხოვრების სოციალურ წესში, მატერიალური და სულიერი კულტურის სფეროსა და სამეურნეო ყოფაში აირეკლებიან. ქართველური ტომები კავკასიისა და ანატოლიის ძველ და უძველეს ხალხებთან ერთად მრავალი სამეურნეო-კულტურული ხასიათის მიღწევების პიონერები იყვნენ, ტაოელები და კლარჯები კი – ქართველი ხალხის ძველი ეთნოგრაფიული ჯგუფები იყო და, შესაბამისად, მათ ქართული კულტურული მოზაიკის ფორმირებაში უაღრესად დიდი წვლილი აქვთ შეტანილი.

ტაოელთა და კლარჯთა მეურნეობრივი ცხოვრების წესი, ბუნებრივია, გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებთან შესატყვისობაში, ისტორიული საქართველოს სხვა კუთხეთა მსგავსად, მთის, მთისწინა ზოლისა და ბარის სამეურნეო ყოფის თანმხვედრი იყო. ტაო-კლარჯეთის სახეობო დასახლებებში ტრადიციული კულტურა ვითარდებოდა და კულტურული ღირებულებების ფონზე იქმნებოდა სოციალურ ურთიერთობათა სისტემა, სამეურნეო ყოფის სპეციფიკური სიმბიოზური მეურნეობა – მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სინთეზითა და მონაცვლეობით. საუკუნეების მანძილზე ქართველმა ხალხმა ისტორიულად ჩამოყალიბებული მრავალფეროვანი სამეურნეო-კულტურული ფორმა შექმნა, რაზეც არაერთი ისტორიული, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული არტეფაქტი მიუთითებს. ამ ფორმების ჩამოყალიბებაში გარემოსა და ბუნებრივი პირობების, რელიეფისა და მცენარეული საფარის მრავალგვარობასთან ერთად, ადამიანთა შრომა-საქმიანობა და ემპირიული ცოდნა-გამოცდილება გადამწყვეტ როლს თამაშობდა. გამონაკლისი ამ მხრივ არც ტაო და არც კლარჯეთი არ ყოფილა. ჭოროხის აუზის ხეობებშიც ბუნებრივ პირობებთან და გეოგრაფიულ გარემოსთან შესატყვისობაში მეურნეობის ტრადიციული ფორმები ჩამოყალიბდა, რომელთა საერთო განვითარების გზა უძველესი ხანიდან დაიწყო.

ტაოსა და კლარჯეთის გეოგრაფიულ გარემოსა და ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს ტრადიციული მეურნეობა და მისი ისტორიულად ჩამოყალიბებული მრავალგვარი ფორმები შეესაბამებოდა. როგორც ტაო, ისე კლარჯეთი საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავდა და, ბუნებრივია, ყველა ხეობასა და კუთხეში იგი ერთნაირი იერსახით არ იყო წარმოდგენილი. რეგიონის გარკვეული ნაწილი კლდოვანია, სადაც წარსულში მეურნეობის გასამართავად ნაკლები სივრცე იყო წარმოდგენილი. ამიტომაა ასეთ ადგილებში ხშირად რომ შეხვდებით ხალხურ ცოდნა-გამოცდილებაზე დაფუძნებულ ტერასულ გეგმარებას, რომელიც ჭოროხის აუზის ტერიტორიულ სივრცეში თითქმის ყველა კარ-მიდამოსა და სამეურნეო ნაკვეთთან იყო გამართული, იმ არეალში, სადაც საქართველოს, განსაკუთრებით, სამხრეთ საქართველოს, როგორც აგრარული ცივილი-

ზაციის ერთ-ერთ უძველეს კერას, განსაკუთრებული ადგილი ეკავა. მიწის ხელოვნური მასის შერჩევით შექმნა უშუალოდ იყო დაკავშირებული ტერასულ მეურნეობასთან. ტერასები ბაღჩებისა და ბოსტნების მოსაწყობად გამოიყენებოდა და ბუნებრივი პირობებიდან და გეოგრაფიული გარემოს თავისებურებებიდან გამომდინარე ტაო-კლარჯეთში მას ფართო გავრცელება ჰქონდა. სახლთან ახლოს მდებარე განსაზღვრული მიწის ნაკვეთები წინასწარ შერჩეული ქვებით შემოიზღუდებოდა. ბაღჩა ძირითადად ხეხილისათვის იყო განკუთვნილი, ხოლო ბოსტნები – ბოსტნეული კულტურებისათვის. სადაც ადგილმდებარეობა საშუალებას იძლეოდა ხეხილის ბაღჩა და ბოსტანიც იქ ეწყობოდა. კარ-მიდამოდან ბოსტან-ბაღჩების შემდეგ მნიშვნელოვანი სამეურნეო ზოლი სათესი ნაკვეთები და ჭალები იყო. ორივე მათგანი მჭიდროდ იყო დაკავშირებული სარწყავ სისტემასთან. სამიწათმოქმედო ყოფის ოპტიმალურად წარმართვისათვის აუცილებლობას წყაროებისა და სარწყავი-საირიგაციო სისტემის მაღალ დონეზე გამართვა წარმოადგენდა. სათესი ნაკვეთები მარცვლეულის მოსაყვანად იყო განკუთვნილი, ხოლო ჭალები სათიბად და საქონლისათვის საზამთრო მარაგის შესაქმნელად. სარწყავი მიწათმოქმედება როგორც კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, ისე მცირე აზიაში – ანატოლიაში წარსულში საკმაოდ განვითარებული იყო. ჭალები ტაოს ყველა დასახლებისათვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზონა იყო და მეურნეობრივი თვალსაზრით იგი დასახლების ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა, ამასთან, დასახლებათა მახლობლად არსებული ჭალები სასიცოცხლოდ აუცილებელი და მეურნეობის წარმართვისათვის უმნიშვნელოვანესი ზონად ითვლებოდა.

ტაო-კლარჯეთში ზოგან ხეობები ძალზე ვიწროა და ვიწრო კალაპოტში მოქცეული მდინარის სანაპიროებზე კლდის უზარმაზარი კანიონებია აღმართული ისე, რომ მზის სხივებიც კი არ ჩანს, გარკვეულ ადგილებში თავს იჩენს ვრცელი მინდვრები და საჭალე კუნძულები, განსაკუთრებით, მდინარეთა სანაპიროებიდან განვრცობილ ფერდობებზე. ტყის საფარი საკმაოდ დიდ მანძილზე ვრცელდება და ტყეც მდიდარია სხვადასხვა ჯიშისა და წარმოშობის მცენარეულობით. ტაოს დასახლებებსა და დასახლებათა შემოგარენში სამეურნეო სივრცე სტრუქტურირებული იყო. სამეურნეო ნაკვეთების ძირითადი ნაწილი კარმიდამოს, ბოსტნებისა და ბაღჩა-ბაღების სახით მის მიმდებარე მიწა-წყალზე იყო თავმოყრილი. სახლი და კარმიდამო სოფელში დასახლების ძირითადი რგოლი იყო, საიდანაც სამეურნეო სივრცის დანაწილება ხდებოდა. სახლსა და კარმიდამოს გარს ერტყა ბოსტან-ბაღჩები, ხოლო მოცილებით ფერდობებზე ანდა მდინარისპირა ბორცვებზე ჭალები და სათიბები იყო თავმოყრილი, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამის საშუალებას ნიადაგის ხარისხი იძლეოდა. ამიტომ, ჭალები და სათიბები ერთმანეთის მიყოლებით კი არ იყო წარმოდგენილი, არამედ განსაზღვრულ ტერიტორიაზე ცალკეული მონაკვეთების – კუნძულების სახით. ამდენად, ჭალები მდინარისპირა სანაპიროებსა და ფერდობებზე, მდინარეთა დელტაში ჩნდებოდა, სათიბები კი შეიძლება ყიშლებისა და იაილების მიდამოებში – მთებშიც ყოფილიყო განლაგებული.

სამიწათმოქმედო კულტურაში მემინდვრეობა მიწათმოქმედების

ერთ-ერთი დასაყრდენი იყო. მისი სპეციფიკური ფორმებისა და ცალკეული მხარის შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მასში სამეურნეო ყოფის სხვადასხვა მხარესთან ერთად ყველაზე ნათლად ვლინდება ბუნებრივ-ეკოლოგიურ და ეკონომიკურ გარემოსთან ეფექტურად შეგუებული შრომის იარაღების – ხალხური ტექნიკის განსაზღვრული სახეობები, რომელთა განვითარებაში ემპირიულ ცოდნაზე დამყარებული ადგილობრივი მოსახლეობის საწარმოო ჩვევა-გამოცდილების გარკვეული დონე მჟღავნდება. კავკასიასა და მცირე აზიაში – ანატოლიის ტერიტორიაზე სამიწათმოქმედო ყოფის განვითარებასთან შესაბამისობაში არა მარტო ადამიანის შრომა-საქმიანობის ამსახველი ტექნოლოგიები, არამედ საკუთრივ მარცვლეულ კულტურათა ფორმები იქმნებოდა და ვითარდებოდა, რომელთაგან ბევრი ენდემურ ჯიშებადაა მიჩნეული. ტაოსა და კლარჯეთში მიწათმოქმედების მაღალი დონის მაჩვენებელია ისეთი უძველესი მარცვლეული კულტურების ამ უახლოეს პერიოდამდე შემონახულობა, როგორებიც იყო ცერცვი, პური, ფეტვი, ჭვავი, ქერი, ხოლო განსაზღვრული დროიდან – სიმინდი. არამარტო ტაო-კლარჯეთში, არამედ მთლიანად ქართულ ტერიტორიულ სამეურნეო სივრცეში წარმოდგენილი ხორბლის აბორიგენული – ადგილობრივი სახელწოდებანი გვიჩვენებს თუ რაოდენ კარგად აისახა ქართველთა ძველ ლექსიკაში ტრიტიკუმების გვარის წარმომადგენელთა ძირითადი დიფერენციაცია. ამასთან, თუ ყურადღებით დავუკვირდებით ხორბლეულისა და მის ჯიშ-ვარიაციათა სახელწოდებებს, რომლებიც ცალკეულ ფორმათა მორფოლოგიურ თვისებებზეც მიგვითითებს, მაშინ ნათელი გახდება მათში ასახული მთელი გვარის დეტალური დანაწევრება. ეს კი, როგორც მკვლევრებს მიაჩნიათ იმის მოწმობაა თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი, მათ შორის, ტაოელი და კლარჯი მიწათმოქმედი ხორბლის ჯიშობრივ თავისებურებებს (ბრეგაძე, 1988:141).

ჩვენ შევეცადეთ, დაგვეხატა ტაოელთა და კლარჯთა ტრადიციული სამიწათმოქმედო ყოფის ამსახველი სურათი, რომელიც საბოლოოდ საფუძვლად დაედება ჭოროხის აუზის, როგორც ერთიანი კულტურულ-ისტორიული სივრცის მოსახლეობის სამეურნეო კულტურის განზოგადებულ კვლევას.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

Aipi, n. (2014). n. mgeladze. savele-k'omp'leksuri ekspeditsiiis dghiurebi, 7 agvisto, tao-k'lardʒeti, turketis resp'ublik'a. *batumis shota rustavelis saxelmts'ipo universit'et'is kartvelologiis k'vlevis tsentris arkivi.* (აიფ'ი, ნ. (2014). ნ. მგელაძე. საველე-კომპლექსური ექსპედიციის დღიურები, 7 აგვისტო, ტაო-კლარჯეთი, თურქეთის რესპუბლიკა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის კვლევის ცენტრის არქივი).

berdzenisvili, n. (1975). *sakartvelos ist'oriis sak'itxebi.* VIII. tbilisi. (ბერძენიშვილი, ნ. (1975). საქართველოს ისტორიის საკითხები. VIII. თბილისი).

bregadze, n. (1966). sakartveloshi simindis k'ult'uris shemot'anis ist'oriis

sak'itkhisatvis. *sakarthvelos metsnierebata ak'ademiis moambe*. XLII. 3. tbilisi. (ბრეგაძე, ნ. (1966). საქართველოში სიმინდის კულტურის შემოტანის ისტორიის საკითხისათვის. *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე.* XLII, 3, თბილისი).

gugushvili, p. (1964). *martsvleulis meurneoba amierk'avk'asiashi.* tbilisi. (გუგუშვილი, პ. (1954). *მარცვლეულის მეურნეობა ამიერკავკასიაში.* თბილისი).

devadze, m. (2017). n. mgeladze. savele-k'ompleksuri eksp'editsiis dghiurebi, agvist'o, t'ao, turketis resp'ublik'a, 2017. *batumis shota rustavelis sakhelmts'ipo universit'et'is kartvelologiis k'vlevis tsentris arkivi*. (დევაძე, მ. (2017). ნ. მგელაძე. საველე-კომპლექსური ექსპედიციის დღიურები. აგვისტო. ტაო. თურქეთის რესპუბლიკა. *ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის კვლევის ცენტრის არქივი*).

vakhusht'i. (1941). *aghts'era sameposa sakartvelosa (sakartvelos geograpia).* tbilisi. (ვახუშტი, (1941). *აღწერა სამეფოსა საქართველოსა* (საქართველოს გეოგრაფია), თბილისი).

turguti, n. (2017). n. mgeladze. savele-k'omp'leksuri eksp'editsiis dghiurebi. *batumis shota rustavelis sakhelmts'ipo universit'et'is kartvelologiis k'vlevis tsentris arkivi.* (თურგუთ'ი, ნ. (2017). ნ. მგელაძე. საველე-კომპლექსური ექსპედიციის დღიურები. *ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის კვლევის ცენტრის არქივი*).

turkul-kartuli leksikoni. (2001). t'. II. l. chlaidzis redaktsiit. st'amboli. (თურქულ-ქართული ლექსიკონი (2001). ტ. II. ლ. ჩლაიძის რედაქციით. სტამბოლი).

k'akhidze, n. (1974). *match'akhlis kheoba.* batumi. (კახიძე, ნ. (1974). *მაჭახლის ხეობა.* ბათუმი).

ketskhoveli, n. (1957). *k'ulturul mtsenareta zonebi sakartveloshi*. tbilisi. (კეცხოველი, ნ. (1957). *კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში.* თბილისი).

pagava, m. tsintsadze, m. baramidze, m. chokharadze, m. shioshvili, t. mamuladze, sh. khalvashi, r. mgeladze, n. shashikadze, z. k'aralidze j. (2016). *k'lardzeti.* batumi. (ფაღავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, მ. შიოშვილი, თ. მამულაძე, შ. ხალვაში, რ. მგელაძე, ნ. შაშიკაძე, ზ. კარალიძე, ჯ. (2016). *კლარჯეთი.* ბათუმი).

lambert'i, arkanjelo. (1938). *samegrelos aʁts'era.* tbilisi. (ლამბერტი, არქანჯელო. (1938). *სამეგრელოს აღწერა.* თბილისი).

lomouri, i. (1946). *Martsvleuli k'ult'urebi.* tbilisi. (ლომოური, ი. (1946). *მარცვლეული კულტურები.* თბილისი).

lortkipanidze, m. (1963). *peodaluri sakartvelos polit'ik'uri gaertianeba*. tbpilisi. (ლორთქიფანიძე, მ. (1963). *ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება.* თბილისი).

mari, n. (2012). *shavshetsa da k'lardz'etshi mogzaurobis dghiurebi.* batumi. (მარი, ნ. (2012). *შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები.* ბათუმი).

menabde, v. (1950). *sakartvelo khorblis dzveli kveq'anaa.* tbilisi. (მენაბდე, ვ. (1950). *საქართველო ხორბლის ძველი ქვეყანაა.* თბილისი).

mgeladze, v. (2007). lentchiberis inst'it'ut'is ist'oriidan (sak'itχis dasmis ts'esit). *batumis shota rustavelis sakhelmts'ipo universit'et'is shromebi. humat'arul metsnierebata seria.* V. Batumi. (მგელაძე, ვლ. (2007). ლენჩიბერის ინსტიტუტის ისტორიიდან (საკითხის დასმის წესით). *ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია.* V. ბათუმი).

mgeladze, v. (2013). samits'atmokmedo k'ult'uris sak'itkhebi atch'arashi. *batumis muzeumis matsne.* VI. batumi. (მგელაძე, ვ. (2013). სამიწათმოქმედო კულტურის საკითხები აჭარაში. *ბათუმის მუზეუმის მაცნე.* VI. ბათუმი).

mgeladze, n. (2014). k'lardzetis k'omp'leksuri ekspeditsiis dghiurebi. dghiuri 1. – batumis shota rustavelis saxelmts'ipo universit'et'is kartvelologiis k'vlevis tsentris arkivi. batumi. (მგელაძე, ნ. (2014). კლარჯეთის კომპლექსური ექსპედიციის დღიურები. დღიური 1. – *ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის არქივი.* ბათუმი).

mgeladze, n. (2018). termin "agaris" dzvelkartuli mnishvnelobisatvis taoshi. *saertashoriso sametsniero ḳ'onperentsia "humanit'aruli metsnierebebi inpormatsiul sazogadoebashi – III".* batumi. (მგელაძე, ნ. (2013). ტერმინ „აგარის" ძველქართული მნიშვნელობისათვის ტაოში. *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში – III".* ბათუმი).

murie, j. (1962). *batumi da tch'orochis auzi.* batumi. (მურიე, ჟ. (1962). *ბათუმი და ჭოროხის აუზი.* ბათუმი).

niz'aradze, sh. (1971). *Kartuli enis atch'aruli dialekti. leksik'a.* batumi. (ნიჟარაძე, შ. (1971). *ქართული ენის აჭარული დიალექტი. ლექსიკა.* ბათუმი).

orbeliani, sulkhan-saba. (1949). *Sit'q'vis k'ona.* tbilisi. (ორბელიანი, სულხან-საბა. (1949). *სიტყვის კონა.* თბილისი).

Palgrev, V. (1882). Otscherki V. Djiforda Palgreva po provintsiakh Anatolii za 1867-1869 I 1872 godi. Materiali dlia opisania Aziatskoi turtschii I Batumskoi oblasti. II. Prlozenia k VII tomu Izvestii kavkazskogo otdela Imperatorskogo geografitscheskogo Obshestva. Tiflis. (Пальгрев, В. (1882). Очерки В. Джифорда Пальгрева по провинциях Анатолии за 1867-1869, 1869 и 1872 годы. Материалы для описания Азиатской Турции и Батумской области. II. Приложения к VII тому Известий Кавказского Отдела Императорского Руского Географического Общества. Тифлис).

sakhok'ia, t. (1985). *mogzaurobani (guria, atschara, samurzaq'ano, apkhazeti).* batumi. (სახოკია, თ. (1985). *მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი).* ბათუმი).

pagava, m. tsintsadze, m. baramidze, m. chokharadze, m. shioshvili, t. mamuladze, sh. khalvashi, r. mgeladze, n. shashikadze, z. tschkhviniani, j. k'aralidze j. (2020). *tao.* batumi. (ფაღავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, მ. შიოშვილი თ. მამულაძე, შ. ხალვაში, რ. მგელაძე, ნ. შაშიკაძე, ზ. ჩხვიმიანი, ჯ. კარალიძე, ჯ. (2020). *ტაო.* ბათუმი).

paghava. (2015). vazi da marani k'lardzetshi. *tschveni sulierebis balavatri*. t. 7. tbilisi. (ფაღავა, მ. (2015). ვაზი და მარანი კლარჯეთში. *ჩვენი სულიერების ბალავარი.* ტ. 7. თბილისი)

paghava. (2020). vazi tschokhis kheobashi. *LX resp'ublik'uri dialekt'ologiuri sesiis masalebi.* tbilisi. (ფაღავა. (2020). ვაზი ჭოროხის ხეობაში. *LX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესიის მასალები.* თბილისი).

putk'aradze, t. (2011). shavshetis etnograpia. *shavsheti.* tbilisi. (ფუტკარაძე, თ. (2011). შავშეთის ეთნოგრაფია. *შავშეთი.* თბილისი).

Karthveli khalkhis etnologiuri leksikoni (2019). Proektis avt'ori da samecniero khelmdzghvaneli nugzar mgeladze. Batumi. (ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი (2019). პროექტის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი ნუგზარ მგელაძე. ბათუმი).

q'azbegi, g. (1960). atcharis shesaxeb. batumi. (ყაზბეგი, გ. (1960). აჭარის შესახებ. ბათუმი).

shamiladze, v. (1969). *alp'uri mesakonleoba sakartveloshi.* tbilisi. (შამილაძე, ვ. (1969). *ალპური მესაქონლეობა საქართველოში.* თბილისი).

sharden, zh. (1975). *mogzauroba.* prangulidan targmna, gamok'vleva da k'oment'arebi daurto mzia mgaloblishvilma, Tpilisi. (შარდენი, ჟან. (1975). *მოგზაურობა.* ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბილისი).

chitaia, g. (1997). kartul-ḳavḳasiuri samits'atmokmedo sistema: sakartvelos samits'atmokmedo sistema da sakhvneli iaragebi. *shromebi.* t'omi I. tbilisi. (ჩიტაია გ. (1997). ქართულ-კავკასიური სამიწათმოქმედო სისტემა: საქართველოს სამიწათმოქმედო სისტემა და სახვნელი იარაღები. *შრომები.* ტომი I. თბილისი).

chidzavadze, n. (1967). akhooba atcharashi. *atcharis mosakhleobis q'opisa da k'ult'uris sak'itkhebi.* tbilisi. (ჩიჯავაძე, (1967). ახოობა აჭარაში. *აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები.* თბილისი).

Чубинишвили, Т. Н, Челидзе, Л. М. (1979). К вопросу о некоторых определяюших признаках раннеземледельческой культуры II. Ирак, Иран (хозяйство в X-IV тыс. до н. э.). – მაცნე, ისტორიის სერია, 1, თბილისი.

javakhishvili, iv. (1930). *sakartvelos ek'onomiuri ist'oria.* tbilisi. (ჯავახიშვილი, ივ. (1930). *საქართველოს ეკონომიური ისტორია.* თბილისი).

javakhishvili, iv. (1934). *sakartvelos ek'onomiuri ist'oria.* ts'igni II. tbilisi. (ჯავახიშვილი, ივ. (1934). *საქართველოს ეკონომიური ისტორია.* წიგნი II. თბილისი).

javakhishvili, iv. (1986). *sakartvelos ek'onomiuri ist'oria.* ts'igni II. tbilisi. (ჯავახიშვილი, ივ. (1986). *საქართველოს ეკონომიური ისტორია.* წიგნი II. თბილისი).

jikia, s. (1944). "lazut" sit'q'vis ts'armoshobisatvis. *sakartvelos metsnierebata ak'ademiis moambe.* t. V. №2. tbilisi. (ჯიქია, ს. (1944). „ლაზუტ" სიტყვის წარმოშობისათვის. *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე.* ტ.V. №2. თბილისი).

jikia, s. (1947). "simind-semidalis" shesacheb. *tbpilisis sachelmts'ipo universit'et'is shromebi.* XXX-XXXI. tbhilisi. (ჯიქია, ს. (1947). „სიმინდ-სემიდალის" შესახებ. *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები.* XXX-XXXI. თბილისი).